სახალხო გაზეთი

№ 946 ხუთშაბათი, 18 ივლისი 1913 წ. № 946

განცხადების ფასი: ნვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დახეტვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ელირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ საერთო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ეროვნული თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ. სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., **თვეში**—75 კაპ.
ცალკე №№ ყველგან 5 კ., **დამატებანი**—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი მკითხველისთვის წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქს გარეთ ღირს 4 მ. 50 კ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

ახალი კლუბი
(საზაფხულო სადგომი)

ხუთშაბათს, 18 ივლისს 1913 წ.

საოჯახო საღამო

ქართული არტისტების ამხანაგობისაგან წარმოდგენილი იქნება:

ძუნწი

ორ მოქმედებიანი კომედია თავ. ერისთავისა.

მონაწილეობას იღებენ: ვიქტორელი, ჯავახიშვილისა, ვ. აბაშიძე, კ. მესხი, შალიკაშვილი, შანშიაშვილი.

სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელს, მამაკაცნი 1 მ. მანდილოსანი 50 კ. და სტუდენტები 25 კ. წარმოდგენაზე დასწრება უფასოა. წარმოდგენის შემდეგ—**ცეკვა. დასაწყისი საღამოს 9 საათზე.** 1402

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლთან
არსებულ ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ დღეს, **18 ივლისს, საღამოს 8 ს.**, „წრის" ბინაზე (მიხეილის ქუჩა, № 102), დანიშნულია „წრის" წევრთა **საზოგადო კრება**

განსახილველი კითხვები: 1) გამგეობის წევრთა და მისს კანდიდატთა დამატებითი არჩევნები. 1160

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭო

იწვევს სატეხნიკო ან სახელოსნო სასწავლებელ დამთავრებულ პირს ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლის საზეინკლო-სამქედლო და სამთო-სატეხნიკო

განყოფილებების ინსტრუქტორად.

წელიწადში ჯამაგირად ეძლევა

900 მან.

ყოველ **5** წლის შემდეგ მოემატება ჯამაგირის **20** პროცენტი მონაწილე იქნება შავი ქვის მრეწველთა საბჭოს მოსამსახურეთა შემნახველ-გამსესხებელ კასაში.

თხოვნები შესაფერისი საბუთებით უნდა გამოგზავნოს ქუთაისში საბჭოს სახელზე.

1392

„თემი"-ს გამოცემა
ს. აბაშელის ლექსთა კრებული

„მზის სიცილი"

ავტორის სურათით და ბ. ივ. გომართლის კრიტიკული წერილით,

ფასი 50 კაპ.

ვინც გამოიწერს ფასდადებით არა ნაკლებ 10 ცალისა, მას დაეთმობა 25%, საკომისიოდ—20%.

1380 მისამართი: გაზ. „თემის" კანტორა, ოლგის ქ. № 4.

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

საზოგადოების გამოცემული და საკუთარი წიგნები:

მტრედი, შმიდტისა	10 კ.	საქართვ. ისტორია, ვახუშტისა	2 მ.—
მამის ერთგული	15 „	სტატისტიკური ცნობ. საქ. შესსახებ	2 მ.—
მეფე დიმიტრი თავდადებული	7 „	უცნაური ამბავი	4 „
მოთხრობანი დ. კლდიაშვილისა	30 „	ფიზიკური გეოგრაფია, ია შვილისა	20 „
მგზავრის წერილები	7 „	ქართვ. პოეტების რჩ. ლექსები	25 „
ნაწყვეტები პოლიტ. ეკონომიიდან, ა. წულუკიძე	50 „	ქართ. სახ. სიმღერები ი. კარგარეთელი	50 „
ნიკოლოზ გოსტაშვილი	3 „	ქართ. ეროვნული სიმღ. დ. არაყიშვ.	20 „
ოქროს მოყვარულნი	15 „	ქაჯანა	5 „
ოთარაანთ ქვრივი	18 „	ქილილა და დამანა	1 მ.—
რუსულ-ქართ. ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა	2—40 „	ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლის ვარიანტით	3 მ.—
რობინზონ კრუზე	30 „	ყვავილთა შორის	45 „
რჩეული ლექსები ი. ჭავჭავაძისა	7 „	ყოველის მხრიდან, ნ. ლომოური	10 „
სალამური, კრებ. ზ. ჩხიკვაძისა	25 „	შინაური ეკონელი და მისი მოვლა	5 „
სვიის გვირგვინი	15 „	შექსპირის ტრაგედიები, ს. ყიფიანი.	20 „
საყმაწვილო მოთხრ. ექ. გაბაშვილისა	30 „	ჩარლზ პარნელი	25 „
საბრჩობელაზე ი. ჭავჭავაძისა	5 „	ცისარტყელა სალიტერატ. კრებული	15 „
		წიგნის ისტორია, დ. კარიჭაშვილი	20 „

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 121.

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი
ძმ. ესიკოვსკეებისა

მიხეილის პროსპექტ., „მუშტაიდის" შესავალთ ნ. ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი სახაფხულო გრილი სადგომი, ტრამვა, იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

დღეს, 18 ივლისს, 1913 წ.

არაჩვეულებრივი სანახაობა და იშვიათი შემთხვევა ტფილისისათვის. ჩვენი დევიზია ვაჩვენოთ ტფილისელ ხალხს მარტო მთელ ქვეყანაში სახელგანთქმული ატრაკციონე ი. გასტროლი სახელგანთქმულ მფრინავებისა

4 ეშმაკი.

რომელნიც დღეს შეასრულებენ ერთიანს, ორმაგს, სამრიგს და პირუეტ სალტო-მორტალეს. ფრენის გათავების შემდეგ გაიმართება საოიკვდილო ხტომა ბადეში სამრიგი და არაბული სალტომორტალებით, დღესვე მონაწილეობას მიიღებს გამოჩენილი ბულგარელი მოჯირითე ქალი **თამარა**, რომელიც ახალ ოინებს გააკეთებს. გასაოცარი გვამით მოლაპარაკე **ბ. ბროკარსი** მოლაპარაკე მანქანებით. ტფილისელთა საყვარელი მასხარა და მოშაირე **ძმ. ვინჩენცოები.**

დღეს კონტრამარკები არ გამოდგებიან.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

დირექცია **ძმ. ესიკოვსკეებისა.** 443. გამგე: **ლ. მ. ხუნდაძე**

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მაღალაშვილი ბ. ბ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და ხაშმობ. სნეულებანი	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. ვ.** ყოველ დღე 10—1. **სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე 2—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ.-ქალ. ბაძრაძე-დედაბრიშვილისა ყ.**-დღე, გარდა ოთხშ. 1—4 **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი ბ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**გედევანიშვილი. ვ ა.** შაბათობით 10½—11. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12 **ფონდოროვი ბ ს.** ყოველ დღე 1—2
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმია და საბაქტეროლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რეაქციისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიაობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, **„606"** და **„914" წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შიღავათიანი საფასურით. წ. 1035

სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

ბელანუე. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—1½ ს.

ა. ხუდაბაშევი. ბავშვ. შინაგანი ავადმ., ყოველ დღე 3—3 ს.

ბოგოვსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

გ. ნ. გეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

თაყაიშვილი. კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ექ. ქალ. იოსელიანი. ქალური სნეულ. ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

ტალამკარიანი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

ლიმონი. კბილ. ექიმი. ყ.-დღე 11—1 ს.

ხაიდანოვი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ტ. ი. რუდენკო. შინაგან სნეულ. კონსულტატი. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

თეორაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

ა. ბ ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

პონდოლევი. ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

შამაშა, სადოსტაკრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

ატენიანცი. ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

სათვალების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserman"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღე. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქოთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **ფასის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** **ტ კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი **კბილისა** **არჩილ დოლიძე**

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფ. მიღება ძველ ბინაზე (ნაძალადევ., ჩერქეზიშ. ქ. № 145). ყოვ.-დღ. 8—2 ს. 4—7 ს. 427

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 408

ტფილისი, 18 ივლისი

სახალხო სკოლის მასწავლებლები.

როდესაც ერს რომელიმე გარეგნული პირობა ხელს უშლის, თავისუფლად განავითაროს თავისი კულტურული ძალა, რა თქმა უნდა, არ ვარგა. ამისთანა პირობებში შეიძლება წინმსვლელობა, მაგრამ ყოველივე ნაბიჯი სუსტი იქნება, მოქმედება—ფრთა-შეკვეცილი. დაუსრულებელი, სისტემატიური დაბრკოლება ნებისყოფას დაასუსტებს და ძალას წინააღმდეგობისას შეამცირებს. ნაყოფიც მაშინ ნაკლებად დამაკმაყოფილებელი გამოვა. დღეს ჩვენ სწორედ ასეთს მდგომარეობაში ვიმყოფებით. საითაც არ უნდა გაიხედოთ, ყველგან ისეთს პირობებს წააწყდებით, რომლებიც ხელს უშლიან ჩვენი ეროვნული კულტურის თავისუფალ განვითარებას. ჩვენში არ მოიპოვება მრავალი ისეთი დაწესებულება, რომელიც დიდიხანია რუსეთში არსებობს და საკმაოდ დიდი როლიც ითამაშა შიდა რუსეთის კულტურულ განვითარებაში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ და მხოლოდ საერო-ბო თვითმმართველობა მოვიგონოთ, ცხადი გაჰხდება ყველასთვის, რაოდენ აუტანელ პირობებში უხდება მუშაობა ქართველ ერს და რაოდენად ფრთებ შეკვეცილია მისი კულტურული მოთხოვნილებანი. ყველა ამას, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენი განვითარების ხელის შემშლელი ობიექტიური პირობები მძიმე ლოდივით დაგვწოლია და გასაქანს არ გვაძლევს, გვიბობს საშუალებას განვავითაროთ ჩვენი ერის გულის სიღრმეში დამალული კულტურული ძალა ისე, როგორც შეგვეძლო განგვევითარებინა, ცხოვრების უკეთეს პირობებში რომ ვყოფილაყავით.

მაგრამ ყველა ეს დამბრკოლებელი მიზეზები ადვილად შეიძლება ძლეულ იქმნას, თუ თვით ერში საკმაოდ მოიპოვება სასიცოცხლო ძალა, თუ მას სწყურიან სიცოცხლე და სურვილიც აქვს შეინარჩუნოს ეროვნული ინდივიდუალობა. საუბედუროდ ჩვენ ძალიან ხშირად სწორედ ეს გვაკლია ხოლმე. ხშირად თვით ჩვენსავე საკუთარ არსებაშია დამალული ჩვენს წინააღმდეგავე მიმართული გამანადგურებელი ძალა; ჩვენვე ვსჭრით იმ ტოტს, რომელზედაც ვზიავართ. როდესაც ასეთი ავად მყოფობა შეეპარება ერის მაცოცხლებელ ელემენტებს, მაშინ მისი განკურნება ძნელია. მაშინ განმანადგურებელი ძალა ობიექტიურ პირობებისა სრულიად იჩრდილება ერის ბუნებაში ჩამარხულ განმანადგურებელ ძალთა წინაშე.

ავიღოთ, მაგალითად, სახალხო სკოლები და მათი ბედ-იღბალი. ამ ბოლო დროს ბევრი რამ საყურადღებო მოჰხდა. სახალხო სკოლებში ადგილობრივმა ადმინისტრაციამ მოისურვა ისეთი წესების შემოღება, რომლებიც კანონს ეწინააღმდეგება. გამოჩნდა რამდენიმე მასწავლებელი, რომლებმაც უკანონო განკარგულების ასრულება არ მოისურვა, მაგრამ ბოლოს, როგორც მოსალოდნელი იყო, მასწავლებლები გამოვიდნენ დამარცხებულნი. აქ ერთი-ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ინტერესი და გაიმარჯვა იმან, რომლის მხარესაც ძალა იყო, ძალა არა მორალური, არამედ მოუხეშავი, ხეპრული. მაგრამ რა შეეძლო ამ ძალას, მეორე ინტერესისთვის ზურგი რომ მორალურ ძალას გაემაგრებინა? შესაძლებელია მოუხეშავი ძალა მაშ ნაც გამარჯვებული დარჩენილიყო, მაგრამ სიძლიერე მორალური ძალისა სულ სხვანაირ ეფექტს მოახდენდა. მაგრამ სად არის ეს მორალური ძალა? ვინ უნდა შეჰქმნას იგი? როგორ უნდა შეიქმნას, როდესაც თვით მასწავლებლები, რომელთაც პირველად უნდა მოეკითხოს ყველაფერი, ადმინისტრაციას ასწრობენ და 1881 წლის პროგრამის გაუქმებაში ინიციატივასაც იჩენენ? არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც არც გარემოება, არც ადმინისტრაციის მოთხოვნილება ამას არ მოითხოვს, მაგრამ მფრთხალი, ქედმოხრილი მასწავლებელი წინ უსწრობს ადმინისტრაციის სურვილს და აკეთებს ანტიპედაგოგიურ საქმეს, მხოლოდ იმიტომ, რომ თავის უფროსებს ასიამოვნოს. აი ეს არის საშინელება. იქმნება ფსიხიკა მოხელე მასწავლებლისა, რომელსაც თავისი თავი მხოლოდ უფროსის სურვილების აღმასრულებელ არსებად წარმოუდგენია, დამოუკიდებლად იმისა, კანონიერია ეს სურვილი თუ არა.

ჩვენს რედაქციას მოუვიდა წერილი, რომელშიაც ავტორი გვიცხადებს: ორი ძასწავლებელი, რომლებიც ერთთავად იმაზედ ღაღადებს პრესაში, აუცილებლად საჭიროა დაცვა 1881 წლის პროგრამისა, თვითონ ჰღალატობენ ამ პროგრამას, ამის დამამტკიცებელი საბუთები ხელთა მაქვსო. მოხსენებულია ორი მასწავლებელი, რომელთაც რედაქცია პირადად იცნობს, როგორც 1881 წლის პროგრამის ენერგიულ დამცველს. თუ ეს მართალია, ჩვენს გაოცებას საზღვარი აღარ უნდა ჰქონდეს!? თუ ისინიც კი, ვისაც ასე თუ ისე შეგნებულ მასწავლებლად იცნობს ადამიანი, სიტყვით ერთს ამბობს და საქმით მეორეს აკეთებს, რაღა უნდა მოეთხოვოს ისეთს მასწავლებელს, რომელიც თავისთვის ჩუმად არის და მორჩილებით ასრულებს ყველაფერს, რასაც უფროსები უბრძანებენ?

გახლართულია ქსელი. სუსტი ხასიათის მასწავლებლები თვითონვე სჭრიან იმ ტოტს, რომელზედაც

ექიმი ა. შ. მიქელაძე

15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი **კბილისა და ღრძილებისა** **ძ ა ჯ ა ი ა**

იღებს ავადმყოფებს დილის 8-დან საღამოს 7 საათამდე.

ვაგზლის ქუჩა, № 10. 1388

ექიმი **კბილისა** **ნინო რცხილაძე**

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს., ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახ. მაქარაშვილისა.

ექიმი **კბილის** **ა. ბ. ხოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს **აბასთუმანში.**

ექიმი **ვ. მუსხელიშვილი**

1 მარიამობისთვიდან მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ნინო დურმიშხანის ასული მაკარაშვილისა, გიორგი დურმიშხანის ძე და ელენე გიორგის ასული ჟურულნი პირადად მადლობის გადახდის შეუძლებლობის გამო დიდ მადლობას უხდიან ყველა იმას, ვინც მათი დაუვიწყარის დედის, **ძეთევან ლუარსაბის ასულის** ხსოვნას პატივი სცა, როგორც დაკრძალვაზე პირადად დასწრებით, ისე დეპეშებითა და წერილებით. 442

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ხ. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან. ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. ბოლმოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—1½ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. ვ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი. აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლოგა „606"-ით 1035

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხედან, და თან კი გაჰკივიან, გვიშველეთ, ვიღუპებით, კანონით მიცემულ უფლებას გვართმევენო. კანონის წართმევა არავის შეუძლიან. თუ 1881 წლის კანონი კანონია, მისი ასრულება დანაშაულებად არავის ჩაეთვლება. და თუ არიან ისეთი წარმომადგენლები ადმინისტრაციისა, რომლებიც კანონს არ ასრულებენ, მათ შესაფერი პასუხი შეუძლიანთ გასცენ მასწავლებლებმა ყოველთვის. მაგრამ სად არის ამ პასუხის გამცემი? ისინი თითო-ოროლად ჩნდებიან და უმრავლესობა კი ან მიყრუებულია, ან მხოლოდ თავს აჩვენებს საზოგადოებას, მეც მტკივა გული და ვესარჩლები 1881 წლის პროგრამასაო.

აი, ასეთი ავადმყოფობა როდესაც დაისადგურებს ერის გულში, როდესაც თვით ერის მაცოცხლებელი ელემენტები მოიშხამებიან, მაშინ დადგება ხანა ერის გაუბედურებისა. ძნელია ძლევა ასეთი ავადმყოფობისა, თორემ ობიექტიური პირობები არც ისე სახიფათოა.

ნაოკვეები

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„რუსკოე სლოვო“-ს მოჰყავს შინაგან საქმეთა მინისტრის გუბერნატორებსა და ქალაქის მმართველების სახელზე გამოცემული ახალი ცირკულიარი ქარხნებისა და სამთო სამრეწველოების სანიტარულ მდგომარეობის შესახებ და ამბობს:

„თვით საჭიროება, დროგამოშვებით ცირკულიარებისადმი მიმართვისა და იმით სანიტარულ წესრიგობის გახსენებისა იმას ამტკიცებს, რომ სანიტარული საქმე ქარხნებსა და სავაჭრო-სამრეწველოებში აყვავების ხანას არ განიცდის“.

ამის დასამტკიცებლად გაზეთს მოჰყავს ეროობების გამოკვლევა, სხვა და სხვა მოხსენება, რომელიც ექიმების კრებებზე იქნა წარმოდგენილი და განხილულ და სხვა. გაზეთი ამტკიცებს, რომ მიუხედავად საშიში ცირკულიარებისა, ამ საქმეს არავითარი პროგრესი არ ეტყობა. ამის მიზეზს გაზეთი იმაში ხედავს, რომ რუსეთში, როგორც ყოველ საქმეს, ქარხნებსა და სამრეწველო დაწესებულებების სანიტარულად მოწყობას ბევრი უფროსი ჰყავს და აგრედვე ის გარემოებაც, რომ აქამდე რუსეთში სასანიტარო წესების დაკანონება არ იყო. გაზეთი დაასკვნის:

„ამისათვის ცირკულიარებით მზრუნველობა კი არ არის საჭირო, არამედ საექიმო-სასანიტარო საქმის რეფორმა, სასანიტარო კანონმდებლობის და ზედამხედველობის დამოუკიდებელი ორგანოების შექმნა, უპირველეს ყოვლისა კი, რამდენიმე ცალკე უწყების შორის ამ საქმის დაქუცმაცების მოსპობა“.ო.

* * *

„უტრო როსიაში“ აგერ ორი კვირაა იბეჭდება წერილები იმის შესახებ, რომ რუსეთის ფოსტაში არსებობს განსაკუთრებული „შავი ოთახები“, სადაც კერძო კორესპონდენციასა ხსნიან და ზოგიერ, განსაკუთრებით საინტერესო, წერილების ასლს მაძებარ პოლიციებში აგზავნიან. ეხლა გამოირკვა, რომ კიევის ტელეგრაფის მოსამსახურეებს სხვანაირად უსარგებლნიათ მთავრობის მიერ ნაბრძანებ პერლიუსტრაციით. დეპეშებს ისინი ასწორებდნენ და ისე აგზავნიდნენ ბირჟაზე და კერძო ბანკირების კანტორაში. ამის გამო ისინი განგებ ადიდებდნენ ან ამცირებდნენ ფასიან ქაღალდების ფასს ბირჟაზე; ამ დროს კი მათ მიერ დარიგებული მაკლერები სარგებლობლობდნენ ტელეგრაფისტების ცნობებით. ამის გამო ყველა მოხელე სამართალში მისცეს.

ახალი ამგავი

ტფილისი

◆ დრამატურგს ნ. შიუკაშვილს უკვე დაუმთავრებია ახალი ოთხმოქმედებიანი დრამა თანამედროვე ცხოვრებიდან, რომელსაც სახელად „ნაგავი“ ჰქვია. ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრებმა და დასის რეჟისორებმა უკვე წაიკითხეს ეს [illegible]ა, მოიწონეს და რეპერტუარშ[illegible]ეტანეს. დრამა დაიდგმება მომავალ სეზონის განმავლობაში.

◆ გუბერნატორმა ნება დართო თ-დის ასულს მ. ბ. შერვაშიძეს,—26 ივლისს სურამში წარმოდგენა გამართოს პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს სასარგებლოდ.

◆ ხვალ, ნაშუადღევის 4 საათზე, ავლაბრის მთავარ-ანგელოზის ეკლესიის კრებული ლიტანიით გაემართება ხსენებულის ეკლესიიდან მახათას გორაზე, სადაც წმ. წინასწარმეტყველ ელიას სახელობაზე აშენებულს ეკლესიაში შეასრულებს ღამის თევით ლოცვას.

◆ ი. სარაჯიშვილის კონცერტს ვარგანოვის ასულის კნ. ციციშვილის და მსახიობ ი. ზარდალიშვილის მონაწილეობით, გორში და ბორჯომში აუარებელი ხალხი დაესწრო და საზოგადოებაც კმაყოფილი დარჩა. ოთხშაბათს, იგივე კონცერტი გაიმართება წაღვერში, პარასკევს, 19 ივლისს კი სურამში.

◆ მევენახეობისა და მეღვინეობის ტფ. საგუბერნიო კომიტეტის თავმჯდომარედ მიწად-მოქმედებისაებ სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს უფროსი ვ. ი. კორვინ-პავლოვსკი დაამტკიცეს. კომიტეტის წევრებად ჩარიცხეს ცნობილი მეურნე ი. ი. წინამძღვრიშვილი და კავკასიის საუფლისწულო მამულების ინსპექტორი.

◆ საქალაქო ქონებათა დაზღვევა. ამ ჟამად მთელის ქალაქის უძრავი და მოძრავი ქონება 2.039,246 მანეთად არის დაზღვეული სხვა და სხვა დამზღვევ საზოგადოებაში ქალაქის ყოველ წლივ დასაზღვევ პრემიის სახით 7,295 მან. 43 კ. იხდის. ახლა რამდენიმე დამზღვევმა საზოგადოებამ წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, ჩვენთან დააზღვევეთ ქონება და წელიწადში მხოლოდ 3,695 მან. 68 კ. გადაგახდევინებთო.

◆ დამპალ ციებასთან მებრძოლ კომიტეტთან დაარსდა საგანგებო ბიუროო, რომელმაც ცნობები უნდა აგროვოს დამპალ ციების შესახებ. დაარსდა მეორე ბიუროც, რომელსაც დაევალა ლექციებისა და კურსების მოწყობა ამ სენთან საბრძოლველად.

◆ ქალაქის გამგეობაში განთავისუფლდა ადგილი ინჟენრისა, რომელმაც უნდა შეასრულოს ქალაქის მთავარ კონტროლიორის თანაშემწის მოვალეობა.

◆ ქალაქის ბუჰგალტერიაში. მთავარ ბუჰგალტერის თანაშემწედ კარევმა სამსახურს თავი დაანება. მის ადგილას წყალსადენის განყოფილების მთავარი ბუჰგალტერი ი. თ. ჯანაგოვი დანიშნეს, ხოლო უკანასკნელის ადგილზე—წყალსადენის განყოფილების ბუჰგალტერი შარაპოვი.

◆ სიცხემ იკლო ტფილისში. გუშინ, შუადღისას, ჩრდილ ადგილებში რომიურით ტემპერატურა იყო 24 გრადუსი, ხოლო სახლებში 18—21 გრადუსი.

◆ გუბერნატორმა დაამტკიცა ტფ. ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომლითაც რკინის გზის ძიერ ნაძალადევში ჩამორთმეული მიწა (წყლის აუზისთვის) შეაფასა თვითეული ოთხკუთხი საჟენი 5 მან. სულ 511 საჟენია, რაც ფულად 2,555 მან. შეადგენს.

◆ ქალაქის თვითმმართველობაში მომხდარ ბოროტ-მოქმედების გამო გუშინ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, გაუგზავნოს ბრალმდებელს მთელი მასალა, რათა სამართალში მისცეს ფულის მიმთვისებელი სავაჭრო-სამეურნეო აგენტი ნ. მარქაროვი და მისი ხელის შემწყობი მატინიანეცი.

◆ ფილოქსერასთან ბრძოლა. მევენახეობისა და მეღვინეობის ტფ. საგუბერნიო კომიტეტი ხუთს ახალ საფილოქსერო და ეს ადგენს, რომელთა ხელმძღვანელადაც დაანიშნა მევენახეობისა და მეღვინეობის სპეციალისტი ბ-ნი ვისნიოვსკი. დასნი სამუშაოდ თელავის მაზრას გაემგზავრებიან მომავალ კვირას.

◆ კავკასიის სამთამადნო სამმართველოს ივნისის განძავლობაში შემოსავალი ჰქონია 102,449 მ. 72 კ.

◆ 17 ივლისს, საღამოს, ქალაქის თვით-მმართველობის მოსამსახურეთა საეკონომიო საზოგადოების წევრებმა კავკასიის ოფიცერთა საზოგადოების ახალი შენობა დაათვალიერეს. მათ თავაზიანად დაუხვდა საზოგადოების თავმჯდომარე კაპიტანი ბ. ფ. ბელოკრინიკი და ყველა განყოფილება, სარდაფები, და საყინულე მაღაზიები დაათარა.

◆ ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველო მოვალეა, ქალაქის გამგეობის დაუკითხავად ქუჩებზე სატელეგრაფო ბოძები არ დასდგას, მაგრამ ამ საქმეში სამმართველოს გამგეობისთვის ჯერ არ მიუმართავს. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, საჩივარი აღძრას სამმართველოს წინააღმდეგ და ააღებინოს ის ბოძები, რომელიც უალაგო-ალაგოს არის დადგმული.

◆ რკინის გზის სამმართველოს შარშან ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა, სარკინისგზო დაწესებულებათა წინ ქვაფენილები დაეგო. რკინის გზა დაჰპირდა, 1913 წელს დავაგებ ქვაფენილსაო, მაგრამ პირობა არ ასრულა. ამის გამო ქალაქის გამგეობამ დაადგინა, დაათვალიეროს სარკინისგზო დაწესებულებანი და შესაფერი ოქმები შეუდგინოს რკის გზას სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის.

◆ შინა მრეწველობა. კავკასიის შინა მრეწველობის კომიტეტმა წელს მატყლის სართავ და საღებავ ქარხნისათვის გადასდო 11,810 მან., ხოლო სამხატვრო სახელოსნოსთვი—6,110 მან., ამას გარდა 9,960 მან., გადასდო სხვა და სხვა საზოგადოებისა და კერძო პირისთვის ძისაცემად შინა მრეწველობის განსავითარებლად.

15 ივლისს შინა მრეწველობის კომიტეტის კრება მოხდა ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად. მიმდინარე წლის ხარჯები ნავარაუდევი იყო 67,790 მან. ეს ჯამი კომიტეტმა 12,000 მანეთით შეამცირა. მომავალ წლის ხარჯები ნავარაუდევი იყო 79,880 მან. კომიტეტმა ეს ჯამიც 12,000 მ. შეამცირა.

კომიტეტს აზრად აქვს, ამ ზაფხულს ორის კვირით თავის ლაბარატორიაში კურსები მოაწყოს, სადაც მსურველნი შეისწავლიან შინა მრეწველობის ნაწარმოებთა შეღებვას.

◆ სენატორი ნ. დ. ჩაპლინი, მიწის გამიჯვნის საქმის გამგე, გუშინ საქართველოს სამხედრო გზით ტფილისს ჩამოვიდა.

◆ საქალაქო ბაკში. ივნისის განმავლობაში მოურეკავთ 11,129 სული მსხვილ-ფეხა საქონელი (გაყიდულა 6,116 სული) და 21,206 სული წვრილ-ფეხა საქონელი (გაყიდულა 17,258 სული).

◆ ხელსაქმის კურსების დახურვა. გუშინ, 18 ივლისს, ტფილისში დაიხურა კალათების ქსოვის შესასწავლი კურსები, რომელიც მოწყობილი იყო ვაჟთა მეორე გიმნაზიის შენობაში. კურსებზე იყო მსმენელად 44 მასწავლებელი ქალი და კაცი. კურსებზე მსმენელად შესვლის მსურველი გაცილებით მეტი იყო, მაგრამ შეუძლებელი გახდა მათი მიღება კალათების საქსოვ მასალის სიმცირის გამო. თვითეულმა მსმენელმა 10—12 სხვადასხვა ფორმის, კალათა მოქსოვა. დამზადებულ კალათათა ერთს ნაწილს მასწავლებლებს გაატანენ სკოლებისთვის, მეორე ნაწილის ვაჟთა მეორე გიმნაზიის მუზეუმში შეინახავენ.

◆ საბირჟო ცნობები. 18 ივლისს ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგი იყო: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებდნენ—85 მ. 20 კ. აძლევდნენ—84 მან. 50 კ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—82 მან. 70 კ., აძლევდნენ—82 მან. 20 კ. ტ ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—80 მან. 60 კ., აძლევდნენ—79 მან. 75 კ.

სახელმწიფოს მომგებიან ბილეთების საკურსო ნორმები შემდეგი იყო: პირველ სესხისა—484 მან., მეორისა—314 მან. 50 კ.

◆ რედაქციამ მიიღო ჟურნალი „ნაკადულის“ ივლისის (მე-13) ნომერი. მცირე წლოვანთათვის შინაარსი: 1) სურათი, 2) მამალი ლექსი. ლადო გეგეჭკორისა, 3) თევზაობა ე. ჭ—ისა, 4) ჩიტი ბელურა. ლექსად სტ. ძიმისტარაშვილისა, 5) თედო და გიგო. თარგმანი გ. ლ—ისა, 6) ოინი ი. აბხაზისა, 7) მკითხველის წერილები და სხვა.

◆ რედაქციამ მიიღო ჟურნალ **„სასოფლო გაზეთის“** მე-32 ნომერი. შინაარსი: მოწინავე, როგორაა მოწყობილი საქონლის სხეული—ბეითალ ა. მ. ვასილევსკისა, საქონლის მოვლა-მოშენება—ძველი მეგობრისა, ჩაის ბუჩქის მოშენება—აგრ. ერ. ნაკაშიძისა, ფელეტონი: ბებერი ხარი—თარგ. მებუკისა, ცნობა ნიკიტის სამეურნეო სასწავლებლისა, რას გვწერენ: საგლეხო რეალური სასწავლებელი, გლეხების ექსკურსია, სრულიად რუსეთის კოოპერატორთა სიეზდის გამო კიევში, კითხველის წერილი, ფუტკრი ძიძა—მ. საკაიკველისა, ქრონიკა, ქუთაისის სამეურნეო სკოლა, მეუნე მეოჯახის კალენდარი (ივლისი), წერილი რედ. მიმართ—ნ. გ. სიხარულიძისა.

◆ ჩვენმა რედაქციამ მიიღო აგრედვე შეჩერებულ საკოოპერაციო ჟურნალის „კოოპერაციის“ მე-24 ნომერი შემდეგის შინაარსით:

1) რედაქციისგან. 2) კოოპერატორთა საგუბერნიო კრება, (პირადი შთაბეჭდილებანი)—ი. გ—რი; 3) კოოპერატორთა კრების რეზოლიუციები; 4) მერვე საერთაშორისო რეზოლიუციები. 6) ძვირფასი დის ხსოვნას,—იას. გაბილაიასი; 7) საკოოპერაციო ბიურო. (ნატარიალური ხელშეკრულობიდან; 8) კოოპერატივებისა და კოოპერატორების საქმეები ჩვენში თ. ლლონტისა. 9) პური და კოოპერაცია. 11) მუნიციპალური ცხოვრება, კულტურა და ნიუ-იორკის აღორძინება, (ამერიკა); 12) მიმოხილვა: ა) ჩვენს კოპერატივებში (ქუთაისის მომხ. საზ. „პროგრესის“ ამაშის მომხ. საზ. „ანგარიში“ და სხვა რუსეთის კოპერატივებში. 13) ათი მცნება.

სასამართლო

◆ სათათბიროს არჩევნების გამო სამართალში მისცეს რუსთა კურიის ამომრჩეველი მაკედონსკი და სხვანი. ბრალდებათ არჩევნების დროს ბოროტ-მოქმედებათა ჩადენა. საქმის გარჩევა გუშინ იყო დანიშნული ტფ. ოლქის სასამართლოში, მაგრამ, ზოგიერთი მოწმის დაუსწრებლობის გამო, სხვა დროისთვის გადაიდო.

საზოგადოებანი და კრებები

◆ ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოებაში. გამგეობამ მიიღო საზოგადოების ბათომის განყოფილების 1912 წლის მოქმედების ანგარიში, საიდანაც, სხვათა შორის, სჩანს, რომ განყოფილებას საანგარიშო წელს 271 წევრი ჰყოლია. ბალანსი უდრიდა 7.727 მან. 29 კ.

წ.-კ. საზოგადოების გამგეობა ამ ჟამად ბეჭდავს შემდეგს წიგნს: „დედა ენა“ მეორე ნაწილი და „რუსსკოე სლოვო“ ი. გოგებაშვილისა და „ქართულ სიტყვიერების ისტორია“ (მეცხრამეტე საუკუნისა) ა. ხახანაშვილისა.

ქართულ სათავად-აზნაურო სასწავლებლის მასწავლებელმა პეტრე მირიანაშვილმა ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოებას თვის მიერ ნათარგმნი და გამოცემული „ყურანი“ და „ფაუსტი“ შესწირა, თითო 73 ცალი წიგნთ-საცამ სამკითხველოებისთვის უფასოდ დასარიგებლად.

◆ საყინულეთა მოწყობის საქმის. მოღვაწეთა მეშვიდე კრება იმართება ტფილისში მიმდინარე წლის 15-დან 20 დეკემბრამდე. კრების მოწვევაში უმთავრეს მონაწილეობას კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოება იღებს, რომელმაც უკვე შეიმუშავა კრების დებულებანი და პროგრამა. კრების გამო შესაფერისი გამოფენაც გაიმართება ქალაქის სასალახოს შენობაში.

თიანეთი.

◆ სოფ. ახალსოფელში ჩხუბის დროს ს. აბრამაშვილმა ქვით მოჰკლა ა. აბრამაშვილი.

სოფლად.

სოფ. კასპი (გორის მაზრა). 15 ივლისს, საღამოს რვა საათზე, ასტყდა საშინელი ჭექა-ქუხილი, მოვიდა კოკისპირული წვიმა და ჩამოვარდა მეხი. მეხი დაეცა ადგილობრივ მცხოვრების გლეხის ალექსანდრე მიმპარავიშვილის საბძელს. პატრონმა ბოლი შეამჩნია საბძელს, სადაც ამ დროს შვიდ სულამდე საქონელი იყო დამწყვდეული. მიაშურა მისკენ, გამოშვება ძლივს მოასწრო, რომ მთელი საბძელი ცეცხლმა მოიცვა. გლეხს მეზობლები მიეშველნენ ბარებითა და კეტებით. წვიმამაც, რომელიც შეუწყვეტლივ მოდიოდა, ცეცხლს ხელი შეუშალა მოსდებოდა მახლობელ შენობებს. საბძელი სრულიად დაიწვა, დაიწვა აგრედვე გვერდით მიდგმული ფიცრის სასიმინდე გიგა მიმპარავიშვილისა. ზარალი 300 მ. აღემატება. ხალხი და საქონელი უვნებლად გადარჩა.

გორის მაზრის უფროსის მოკვლა

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

გორი. 16 ივლისს, საღამოს საადგილო მატარებლით ხაშურიდან გორს მოვიდა მაზრის უფროსი ბლაუ; გორის სადგურზე მას შეხვდნენ პროკურორის თანაშემწე ტკაჩევი და გამომძიებელი ავშაროვი. როცა მაზრის უფროსი ვაგონიდან ჩამოვიდა, რამდენჯერმე გავარდა რევოლვერი. დაიჭრა მძიმედ მაზრის უფროსი ბლაუ მუცელში, ზურგში ტ ხელში, ხოლო ტკაჩევი და ავშაროვი მსუბუქად. მატარებელი შეაჩერეს; ხალხი გაჩხრიკეს. ბოროტ-მოქმედნი მიიმალნენ. დაჭრილები ტფილისს წაიყვანეს. მაზრის უფროსის მდგომარეობა საშიშია. გორში ჩხრეკაა.

გორში.

17 ივლისს, საღამოს 9 საათზე, მთელს გორს ელვის სისწრაფით მოედო ამ დროში ძნელად დასაჯერებელი ამბავი: გორის სადგურზე ვიღაც უცნობებმა მაზრის უფროსი ბლაუ მოჰკლესო. ძნელად დასაჯერებელი იმიტომ, რომ მაზრის უფროსი გორში არ იმყოფებოდა, სურამისკენ იყო წასული და ამასთანავე საღამოს 9 საათზე გორის სადგურზე მუდამ აუარებელი მოსეირნეა და ამოდენა ხალხში გაბედავენ მუდამ სახიფათოა სადგურზე ავის განზრახვით მოსულთათვის. ხმები უფრო და უფრო ვრცელდებოდა. ბოლოს დანამდვილებით გამოირკვა სადგურიდან გამოქცეულ ხალხის სიტყვიდან, რომ სადგურზე სროლა იყო.

რა მოხდა სადგურზე?

საღამოს ცხრის ნახევარზე ხაშურის მხრიდან გორს ჩვეულებრივად ჩამოვიდა სამგზავრო მატარებელი, რომელსაც დიდძალი ხალხი დაუხვდა. მატარებლის ერთის ვაგონიდან სადგურზე გადმოვიდა სურამის რაიონიდან დაბრუნებული გორის მაზრის უფროსი ბლაუ. მასთან ერთად იყო ტფ. ოლქის სასამართლოს ბრალმდებელის ამხანაგი ნ. გ. ტკაჩოვი. ორივენი მეორე კლასის ბუფეტისაკენ გაემართნენ. ამ დროს მათ წინ შეხვდა გორის მომრიგებელ სასამართლოს გამომძიებელი ავშაროვი, რომელთაც მისალმების შემდეგ საუბარი დაიწყეს. მოსაუბრეებთან ახლოს უცებ გაჩნდა ერთი კაცი და მაზრის უფროსს ზედა ზედ ხუთჯერ რევოლვერი დაახალა. ტყვია მას რამდენსამე ადგილას მოხვდა და სასიკვდილოდ მოჰკვეთა მუხლები. მძიმედ დაიჭრა ამ დროს ფეხში ბრალმდებლის ამხანაგი ტკაჩევიც. გამომძიებელი ავშაროვი თავში მსუბუქად დაიჭრა. ყველა ეს ისე უცებ მოხდა, რომ სადგურზე მყოფმა ხალხმა თავს ანგარიში ვერ მისცა და შეშინებულმა აქეთ-იქით დაიწყო გაფანტვა. მსროლელი სად მიიმალა, ვერავინ დაინახა. დაუყოვნებლივ გამოწვეულ იქნენ ექიმები დაჭრილთათვის პირველ დახმარების აღმოსაჩენად. პოლიციაც ფეხზე დადგა, მაგრამ უცნობის გზა-კვალს ვერ მიაგნო. დაჭრილნი ღამის მატარებლით ტფილისს ლაზარეთს გაჰგზავნეს.

ტფილისში.

15 ივლისს, ღამის 11 საათზე, ტფ. გუბერნატორმა დეპეშა მიიღო გორში მომხდარ ამბის შესახებ. გუბერნატორმა შესაფერი განკარგულება მოახდინა. ღამის მატარებლით დაჭრილნი ტფილისს ჩამოიყვანეს და სარკინისგზო ლაზარეთში მოათავსეს. მაზრის უფროსი მეტად მძიმედ დაჭრილი აღმოჩნდა და ჩქარა, იმავ ღამეს, გარდაიცვალა. ბრალდებულის ამხანაგი ტკაჩოვი მძიმედ არის დაჭრილი, მაგრამ მისი მოორჩენის იმედი აქვთ. გამომძიებლის ჭრილობა საშიში არ არის.

მიზეზი მკვლელობისა.

როგორც სჩანს, უცნობი მხოლოდ მაზრის უფროსს სდარაჯობდა და მასი მოკვლა სურდა, ხოლო დანარჩენთ კი ტყვია შემთხვევით მოხვდა. მკვლელობის მიზეზი მეტად გამოურკვეველია და ათასგვარი ხმები დადის ხალხში. ზოგიერთის სიტყვით, მაზრის უფროსი მსხვერპლი გახდა ამას წინად მოკლულ ყაჩაღის ჩუგუშვილის ამხანაგების შურის-ძიებისა. მეორეთა თქმით, ეს საქმე ჩადენილი უნდა იყოს განსვენებულის რომელიმე მოსამსახურისაგან, რომელიც საპოლიციო სამსახურიდან დათხოვნილი იყო. ხმები დადის და სიმართლე ჯერაც გამოურკვეველია. ისიც არავინ იცის დანამდვილებით, სადგურზე ერთი კაცი იყო, თუ ამხანაგებიც ჰყავდა.

პანაშვიდი.

გუშინ, შუადღის 12 საათზე, სარკინისგზო ლაზარეთის ეკლესიაში გადახდილ იქმნა პირველი პანაშვიდი ტრაგიკულად დაღუპულ, გორის მაზრის უფროსის ბლაუს სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს, სხვათა შორის, დაესწრნენ: ტფ. გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი, ადმინისტრაციის წარმომადგენელნი და სხვანი.

ღღიური

სარწმუნოება.

ალბად ჩვენი აგრეწოდებული განათლებული საზოგადოების გონებრივი სიმჩატის ბრალია, რომ ჩვენში მრავალი თეორეტიული და პრაქტიკული საზოგადოებრივ თუ სულიერ საკითხი ისე ადვილად და მალე გადაწყდება ხოლმე, როგორც ვერ გაბედავდა ვერც ერთი ღრმა მეცნიერი და გამოცდილი პოლიტიკოსი. ამ შემთხვევაში დიდი გაბედულობა გვაქვს და რაც უნდა მძიმე და სერიოზული საკითხი წარმოგვიდგეს წინ, ვით შეუპოვარი და უშიშარი რაინდი, დავკრავთ ხმალს და გადავჩეხავთ, და თუ ხმალი ბლაგვი გამოგვადგა, გავაპობთ, გადავხეთქავთ როგორმე. მორჩა და გათავდა! ბევრი თავის მტვრევა, ძიება, კვლევა, ეჭვიანობა, შემოწმება, გამოცდა—ჩვენთვის საჭირო არაა. ასეთია თვისება გაუნათლებლობისა. იქ, სადაც მეცნიერისთვის, მაგალითად, საჭიროა ათასი და ათი ათასი სასტიკად შემოწმებული ფაქტი, რომ ერთი უბრალო აზრი დაასკვნან, რომელიმე აფრიკელი ველური კმაყოფილდება ერთის შემთხვევითი მოვლენით, რომ მთელი თავისებური ფილოსოფია შეჭმნას. ჩვენს ამ გვარს სიმჩატეს მეტად მწარე ნაყოფი გამოაქვს ხოლმე, მაგრამ საუბედურად ხშირად სიმწვავის შეტყობის გემოც აღარა გვაქვს და გვიან, გვიან შევიგნებთ ხოლმე სინამდვილეს.

ასე იოლად არის გადაჭრილი ჩვენში, სხვათა შორის, სარწმუნოებრივი საკითხი, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, არც ერთი საგანი არა ისე აბუჩად აგდებული ჩვენგან, როგორც სარწმუნოება. ჩვენებურმა ინტელიგენციამ დიდიხანია ერთის კალმის მოსმით, ან ერთის სამიტინგო სიტყვით, მოსპრა კამათი სარწმუნოების შესახებ, უკუაგდო სარწმუნოება, როგორც დახავსებული, გარდასული მოვლენა და მიეცა სრულს განსვენებას ამ მხრივ. დღეს თუ გაბედა ვინმემ და სერიოზულად დაიწყო ლაპარაკი სარწმუნოებისათვის, მას უეჭველად ჩამორჩენილ ადამიანად, უვიცად გამოაცხადებენ და ბევრნი საგიჟეთშიც კი გაგზავნიან. არა, სარწმუნოებას ვინა სჩანს, ვინმემ რომ სახარების შესწავლა დაიწყოს, როგორც მაღალი ზნეობის წიგნისა, ან ძველი აღთქმა იკითხოს, როგორც საგანძური მაღალი პოეზიისა და ჭკვიერის ენისა, ამასაც არ აპატიებენ და საცინლად აიგდებენ: მოცლილია ან სულელია:

ეს ხდება მაშინ, როდესაც განათლებულ მოწინავე ქვეყნებში სარწმუნოება უდიდესი, საჭირბოროტო, რთული, ჯერეც გამოურკვეველი და გადაუჭრელი საკითხია. საუკეთესო მეცნიერები და ფილოსოფოსები მეტად ფრთხილად და მოწიწებით ეპყრობიან ამ საკითხს. მრავალი საზოგადოებაა დაარსებული იმისათვის, რომ ოდნავად ახადონ ფარდა იმ საიდუმლოებას, რომელიც გარს აკვრია ჩვენს ცხოვრებას, და რომელიც შეადგენს სარწმუნოების ღერძს, საგანს. გასული საუკუნის უდიდესი მსოფლიო მეცნიერი, ბუნების მეტყველი ჰერბერტ სპენსერი არავითარს წინააღმდეგობას არ ხედავდა მეცნიერებასა ‖ სარწმუნოების შორის, გაანაწილებდა მათ სამფლობელოს და თავის უკანასკნელ ნაწერებში სულგანაბული, თაყვანისმცემელის გრძნობით შეჰყურებდა სამყაროს წარმოშობის მიუწდომელ ძალას. ამერიკის გონებრივი სიმდიდრის საუკეთესო წარმომადგენელი ჯემსი, უნიტარიერული ფსიხოლოგი და ფილოსოფოსი, როდესაც აღძრავს საკითხს: არსებობს თუ არა რამე ჩვენის ქვეყნის გარმა, არიან თუ არა ადამიანზე უფრო მაღლა არსებანი, ამბობს: უნდა იყოსო. მისი გონება უფრო რწმენისაკენ არის გადახრილი, ვიდრე ურწმუნოებისაკენ; მას არ მიაჩნია სარწმუნოება საფრთხობელად, რომელსაც უნდა გაურბოდეს ეხლანდელი ადამიანი. სახელგანთქმულმა ცათა მკვლევარმა ფლამარიონმა, რომელმაც ასტრონომიას შეალია თავისი დღენი, ე. ი. იმას, რამაც ყველაზე მეტად დაიმსახურა მეცნიერების სახელი, ერთი დიდი წიგნი გამოაქვეყნა ჩვენის არსებობის იდუმალ მოვლენებს შესახებ და მოუწოდა სწავლულებს, მიაქციონ მეტი ყურადღება „უხილავსა“ და „იმ ქვეყნიურს“. მე აქ არ ჩამოვთვლი სხვათა სახელოვანს გვარებს, მაგრამ საგულისხმიერია ერთი გარემოება, რომ სარწმუნოებისაკენ ხშირად არიან მიდრეკილნი გამოჩენილი ბუნებისმეტყველები, სწორედ ისინი, რომლებიც, ჩვენში გავრცელებულ აზრს რომ ვენდოთ, ყველაზე უფრო ათეისტები, ურწმუნონი უნდა იყვნენ.

ჩვენში უპირველესად ძლიერ ყალბი აზრია გავრცელებული თვითონ სარწმუნოების შემეცნების შესახებ. ჰფიქრობენ, რომ სარწმუნოება ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერების გაუქმებაა, სამღვდელოების ბატონობა მისი მრავალის შეუფერებელის დოღმატით დღეგანდელი საზოგადოებრივი წესწყობილების დაცვაა და სხვა. ეს ყოველად შემცდარი აზრია. **არსებობს თუ არა ჩვენზე მაღალი ზეარსი, რა დამოკიდებულობა აქვს ადამიანს მასთან,** საიდან წარმოიშვა მსოფლიო და საითკენ მიდის, რა არის აზრი ჩვენის ცხოვრებისა, არის რაიმე გონიერება, მიზანი სამყაროს არსებობაში თუ არა არის? აი საკითხები სარწმუნოებისა, აი მისი საგანი. სარწმუნოება უნდა გაიწმინდოს ყოველგვარ მეტხორცისაგან და თუ ერთის მხრით საყვედურით უნდა მივმართოთ ჩვენებურს ურწმუნო ინტელიგენტებს, რომ სრულებით მოუფიქრებლად გაადევეს სარწმუნოება თავის ძსოფლმხედველობისაგან, რომ სარწმუნოება ჩვენი სულის უდიდესი საკითხია, მეორეს მხრით ნუ იფიქრებენ დღევანდელი ცხოვრების ბრძანებლები, რომ სარწმუნოება და სინდის ეკლესია ერთი და იგივე იყოს.

სარწმუნოებას — როგორც უმაღლეს სულისკვეთებას—**გვერდს ვერ უქცევს გონიერი ადამიანი,** მაგრამ იგივე მოითხოვს ყოველნაირ ძალმომრეობის მოსპობას ამ სამეფოში.

სიტყვა.

ᲦᲘᲛ-ᲛᲝᲠᲬᲣᲚᲘ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ

ახალი საგრილობელი და ქალაქის თვითმართველობა. კოჯრის მდიდრები. საყურადღებო სკოლა.

გავემგზავრე კოჯრისაკენ. ბოტანიკურ ბაღს რომ გავცილდი, გრილმა ნიავმა დამქროლა; ქალაქში კი სიცხისაგან ვიხუთებოდით. დავფიქრდი. ასე ახლოს ყოფილა ეს ნეტარი სიო, მე კი ისე ვწვალობდი. ვინ არის დამნაშავე? რასაკვირველია — ჩვენი ქალაქის თვითმართველობა. შორიდან წყალსადენი მილები გამოუყვანია და ერთჯერაც არ უფიქრია იმაზე, რომ ჰაერი წყალზე ხაკლებ არ ესაჭიროება ადამიანს. წყალს კაცი, სულ ბევრი რომ ვსთქვათ, ათჯერ სვამს დღეში, ჰაერს კი ყოველ წუთს სუნთქავს. ამის გამო ჰაერის ან სიოს სადენი მილები წყლის სადენზე უფრო საჭიროა ქალაქელებისათვის. ამისთვის კი ჩვენი ქალ ქის თვითმართველობა სრულებით არ ზრუნავს.

სხვის ხელში რომ ვყოფილიყავით, ჩვენი საქმე სხვანაირად დატრიალდებოდა: თითოული ქალაქში მცხოვრების ოთახში კარგა ხანია კედელში ონკანები იქნებოდა გაკეთებული, საუკეთესო საგარაკო ადგილებთან მილებით შეერთებული. ონკანები ორ წყებად იქნებოდა ჩამწკრივებული. ზედა რიგი იმდენად იქნებოდა დაშორებული, ქვედას რამდენადაც ადამიანის ცხვირი იმავე ადამიანის პირს შორავს. ქვედა ონკანებზე ეწერებოდა, ჯერ საერთოდ „სიონი და ნიავნი“, ზედაზე კიდევ — „სურნელებანი“. შემდეგ თითოეულ ონკანზე ცალ-ცალკე, ქვედაზე: „კოჯრის“, „ბორჯომის“, „მანგლისის“ და სხვ. ზედაზე: „აბასთუმნის ფქვნარის“, „კორტოხის წიფნარის“ და სხვ.

დიახ, სხვის ხელში რომ ვყოფილიყავით, ყველა ეს ონკანი კარგა ხანია მოწყობილი იქნებოდა ქალაქის ყველა სადგომში და ზაფხულის აუტანელ სიცხეს ჩვენზე არავითარი ძალა აღარ ექნებოდა. როცა შეგვაწუხებდა, მივადებდით პირს, მაგალითად „კოჯრის ნიავის“ ქვედა ონკანს, ამ დროს კი ჩვენი ცხვირი, ბუნების კანონის ძალით, მისით მიხვდებოდა, მაგალითად, „აბასთუმნის ფიქვნარის“ სურნელოვან ზედა ონკანს; გავაღებდით ორსავეს და იმ წამსვე მიუწდომელი ნეტარება გვეუფლებოდა.

დიახ, ამ დიად ნეტარებას ჩვენ დღეს მოკლებულნი ვართ ჩვენი თვითმართველობის წყალობით, რომელიც ალბად დარწმუნებულია, რომ ამ პაპანაქება სიცხეში ჩვენდა გასაგრილებლად მისი გულგრილობა სრულებით საკმაოა. „მხურვალედ რომ მოგვმართავთ, ცივად დაგიხვდებითო, და ამ ცხელ ზაფხულში ამაზე მეტი რა გინდათო?“—გვეტყვიან ისინი.

კოჯორი დღეს ეცნაურად გამოცვლილია. მდიდარი ხალხი, რომელსაც აქ საუცხოო საგარაკო სახლები უდგია, სადღაც გადახიზნულა და ბევრი სახლი ცარიელი და კარჩაკეტილია, როგორც ქონშემოკრული ადამიანის გული. გაოცებული დავრჩი. ვიფიქრე: ძველი რომის არისტოკრატებს, ეგრე წოდებულ პატრიციებს ხომ არ მიჰბაძეს და საწყალი ხალხის ქოხმახებში ხომ არ შეხიზნულან დროებით; უთუოდ ამ პატრიციებივით სურთ სისაწყლე, შიმშილ - წყურვილი გამოსცადონ, ამით მადა გაიცხოველონ და შემდეგ უფრო მკვეთრი ნეტარებით მდიდრულ ცხოვრებას დაუბრუნდნენ მეთქი.

ვიფიქრე, და ერთის აქაური ღარიბი რაკვალ მეპურის ქოხში შევიარე. მივესალმე და ვკითხე: რა იქნა აქაური მდიდარი ხალხი შენთან ხომ არავინ შემოხიზნულა მეთქი? გულიანად გაიცინა ღ, „მანდ, გვერდის ოთახში გახიზავანო“,—მიპასუხა. შევედი ფარღალალა, ფიცრულს პაწია ოთახში. ღარიბული, უფანჯრო და უავეჯო ცარიელობა იყო, მრავალ ფართო ბუკრუტანიდან მზის შუქ-შენათებული. ერთი დიდი ტახტი და შიგ კედელში შეჩხირული ჯოხზე ჩამოკიდული, ამ შუქით გაცისკროვნებული, დაკონკილი შარვალი. არ ჩანდა არც ერთი კოჯრელი პლუტოკრატი. „ჩემი თუ შერცხვა, და ტახტს ქვეშ შეძვრა მეთქი“, ვიფიქრე გულში. დავიკუზე და ტახტს ქვეშ შევიხედე. იქაც არავინ იყო.

გამოველი სათორნეში, მეთორნეს მხიარულად უცინოდა პირი და სიცილით მკითხა: რაში დაგჭირდათ ეს კოჯრელი მდიდრები, რომ ასე გაჭირვებით ეძებეთო?

ვუთხარ: ძველი რომის ისტორიიდან პატრიციების ამბავი. სახეზე გაოცება დაეტყო; ძალიან გაოკვირდა მათი ყოფა-ქცევა და მითხრა: დასწყევლოს ღმერთმა, რას არ მოიგონებს უსაქმო ადამიანი!

უფრო დავრწმუნდი იმაში, რაშიდაც უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ ისტორია არ განმეორდება. ამიტომ კოჯრელი მდიდრები დღეს არა-ქოხმახებს, არამედ უფრო მდიდრულ ცხოვრებას და საზღვარგარეთს ეტანებიან. ალბად მოსწყენიათ აქაურობა!

დღეს კოჯორში უფრო სადა, უფრო უბრალო ხალხი ცხოვრობს. ეს დაბა ძალაუნებურად, ძველ დროსთან შედარებით, უფრო გადემოკრატებულია. საგარაკო სახლების პატრონთა მადა კი ძველებურია. „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“,—ნათქვამია, ვინც ყრუსთან ყვირილსაა შეჩვეული, სმენა-საღ ადამიანსაც ჩვეულებისამებრ ყვირილით ელაპარაკება.

საღამო ხანს გავისეირნე კოჯრის მიდამოებში. უძოს ეკლესიის ახლოს ტყეში რომ შევიარე, ტყე-ბუჩქნარით ხევიდან მუსიკის ხმა მომესმა. რაღაც უხილავი ორკესტრი უკრავდა და უნებლიედ მიმიზიდა. დავეშვი ღრმართში. მალე მუსიკის ხმა შესწყდა. დავინახე დაბლა აქა-იქ კანტი - კუნტად მოფანტული პატარა წითელი საგარაკო სახლები ერთ საერთო ბაღში, დიდ საერთო ეკლიანი ღობით გარშემოვლებული. შიგა-და-შიგ ქვის აუზები, წყლის მილები და კოხტა, ხის პაწაწინა ხიდები მოსჩანდა. ვიფიქრე: კოჯრის საზოგადო ბაღი იქნება მეთქი. კოჯორში წინად მხოლოდ გავლით ვყოფილვარ და ამიტომ ნაკლებად ვიცნობ. მივუახლოვდი ბაღში შესავალ ალაყაფის კარებს და ვკითხე დარაჯს ამ ბაღისა და შენობების ვინაობა. მიპასუხა: სამხედრო ფერშლების სკოლას ეკუთვნის ყველა ეს, რასაც აქ ჰხედავთ, და გარეშე პირთათვის ამ ბაღში სეირნობა აკრძალულიაო. გამახსენდა ერთი ჩემი ნაცნობის, ამ სკოლის მასწავლებლის ნათქვამი: კოჯორში თუ მოხვიდეთ როდისმე, უეჭველად ჩვენი სკოლის საგარაკო ადგილი დაათვალიერეთო; მთელი ბაღი მოწაფეების შრომა-გარჯითა, მათი მარჯვენითაა გაშენებულიო.

ჩემდა საბედნიეროდ, ეს ჩემი ნაცნობი წელს თვითონ აქ ცხოვრობს. ვინახულე. ძალიან ესიამოვნო, მთელი ბაღი დამათარა და მისი ისტორია მიამბო.

ათი დესიატინა ადგილი ეკუთვნის სკოლას, რომლის უდიდეს ნაწილზეც კოხტა შენობიანი ლამაზი ბაღია გაშენებული, ყვავილოვანი, ჩრდილიანი და წყარო-ნაკადულებიანი. ზაფხულობით ამ ბაღში ორმოცდაათი მოწაფე ცხოვრობს და მუშაობს არცერთი დაქირავებული მუშა არ დასჭირებიათ.

უნებლიედ გამახსენდა ჩვენი სასწავლებლები, რომელთა დღენი დათვლილია. კაცობრიობის მოწინავე ნაწილი, ეგრედ-წოდებული ინტელიგენცია ან უნდა გადაგვარდეს, ან იმ გზას უნდა დაადგეს, რომელსაც მთელი ხალხი ადგია.

თვალი მოავლეთ მაგალითად ტფილისის დედა-ძარღვის, გოლოვინის პროსპექტზე მოსიარულე ახალგაზდობას: თითქმის ყველა ფერ-მკრთალი, უფერულია.

ერთმა ფილოსოფოსმა ყურადღება მიაქცია ერთ თერძს, რომელიც ნემსით ტანისამოსს ჰკერავდა. ფილოსოფოსი დაფიქრდა და გვამცნო: ჩემს თვალებს არ დაუჯერეო. რატომ? — რასაკვირველია, იკითხავთ თქვენ:—განა ეს ყოველდღიური, ჩვეულებრივი მოვლენა არაა? ფილოსოფოსსაც იმიტომ ჰქვია ფილოსოფოსი, რომ იგი ხშირად ჩვენთვის ყოველდღიურსა და ჩვეულებრივ მოვლენას ერთბაშად თავისი ძლიერი გონების შუქით გაჰკვეთს და მის გულღვიძლში არაჩვეულებრივს აღმოაჩენს ხოლმე.

ძალ-ღონით სავსე, და ჩასხმული, ძარღვიანი ვაჟკაცი,—გვამცნო ფილოსოფოსმა,—ეს თერძი, თავისი ძლიერი სხეულის რთულსა და მაგარ აგებულებას იმას ანდომებს, რომ დილიდან საღამომდე პაწია ნემსი რბილ მაუდში გაატარ-გამოატაროს ესე იგი, ჰკეროსო. განა ეს ცხადი, სასაცილო უგუნურება არ არისო? განა პირველ შეხედვითვე ცხადზე უცხადესი არაა, რომ ბუნება ამ პაწია სამუშაოსთვის ამ დიდ ადამიანურ მანქანას არ გააჩენდაო? ვინ არის აქ დამნაშავე? რასაკვირველია, არა ეს საწყალი ადამიანი, რომელსაც ლუკმა-პურის საშოვარად მეტი გზა არ დარჩენია ცხოვრებაში, არამედ ის სასტიკი წყობილება, რომელმაც ამ ადამიანის დიდი ძალღონე ამ პაწია საქმეს მოახმარაო.

განა კარჩაკეტილ კლასებში სკამებზე უძრავად ჩამწკრივებულ ახალგაზდებს თვალს რომ მოავლებთ, იგივე აზრი არ დაგებადებათ, რაც ამ ჭკვიანმა ფილოსოფოსმა გვამცნო? ძალ-ღონით სავსე ახალგაზდა კაცი, რომელსაც ცული და ხერხი უნდა მესცე ხელში, დილიდან საღამომდე სკამზე დამჯდარი წიგნს ჰფურცლავს და ხელში მსუბუქ კალამს ან ფანქარს ატრიალებს.

აქაც, რასაკვირველია, იგივე სასტიკი წყობილებაა დამნაშავე, რომელმაც ჩვენი ნაცნობი თერძი პაწია და სულთამხუთავ სამუშაოზე დააყენა.

ჩემისთანა უნიადაგო, უტოპისტ ადამიანს თუ დაუჯერეს, ჩვენმა მასწავლებლებმა უპირველესად ყოვლისა მოწაფეებითურთ კოჯრისკენ უნდა გამოისეირნონ: უნდა გამართონ ექსკურსია და დაათვალიერონ სამხედრო ფერშლების სკოლის აგარაკი. იგი ჭკუის მასწავლებელია, ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორი იქნება მომავალში ახალი სკოლა.

ჯერ-ჯერობით მარტო ზაფხულ-ზაფხულ რომ გაიმართოს ამისთანა სამუშაო აგარაკები მოწაფეებისათვის, დიდი წინსვლა დაეტყობა აღზრდა-განათლების საქმეს. მოწაფის ხელით მოქნეული ცული და კლდის გულში დარტყმული წერაქვი—ხასიათის გამტკიცების ღრმამნიშვნელოვანი, პირველი გაკვეთილი იქნება. წიგნების რბილი ფურცლებისა და მჩატე კალამ-ფანქრის დაუსრულებელი ტრიალი ხასიათის გარბილებისა და სულის გამჩატების საცოდავი სიმბოლოა.

ილია ნაკაშიძე.

ᲡᲔᲢᲧᲕᲐ ᲒᲝᲠᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲖᲔ

საშინელი უბედურება დაატყდა გორის მაზრას 14 ივლისს. ნაშუადღევის 4 საათზე აუარებელ სოფელში მოვიდა სეტყვა და სულ მოსპო მშრომელ ხალხის სარჩო-საბადებელი.

სეტყვა დაიწყო ბორჯომის ხეობიდან და საზარელ რისხვად გადაუარა შემდეგს სოფლებს: ხანდაკს, ერთაწმინდას, ნოსტეს, მეტეხს, კავთისხევს, ახალქალაქს და სხვებს.

სეტყვამ დიდხანს არ გასტანა, მაგრამ მისი შედეგი მეტად სამწუხარო და სავალალო აღმოჩნდა ისედაც გაღატაკებულ ხალხისათვის: სიმინდი, ვენახები, ბოსტნები, ხეხილები და სხვა მოსავალი სულ გაანადგურა და ხალხი ულუკმაპუროდ დასტოვა.

სეტყვა ზომით კაკლის ოდენა იყო და ბევრს ალაგას შინაური ფრინველები ამოსწყვიტა. ზოგან ხალხსაც თავები დაუტეხა.

სეტყვას მოჰყვა დიდი ნიაღვარი, რომელმაც არე-მარე სულ გადასილა და გააპარტახა.

მცხოვრებთა სასოწარკვეთილება აუწერელია. ხალხი დღესაც გონს ვერ მოსულა მოულოდნელი საშინელების გამო და არ იცის, რა გზით შესძლოს არსებობა და ვის მიმართოს საშველად.

სიმშილობის აჩრდილი უკვე ცხადად სჩანს, ხოლო ხალხის ხელის გამწოდე არსადაა.

საჭიროა, დაუყოვნებლივ ყურადღება მიაქციოს მთავრობამ, აგრეთვე საზოგადო დაწესებულებები იმ სოფლებს, სადაც სეტყვა იყო, ზარალი დაწვრილებით გამოარკვიოს და ახლავ ღონისძიებანი მიიღოს კარზე მომდგარ სიმშილისაგან ხალხის გადასარჩენად.

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

პეტერბურგი.

◆ მკერავი მუშებისათვის ცუდი დრო დადგა. სამუშავო არა აქვთ. ასეთი მდგომარეობა 3 თვეს გრძელდება. სახელოსნოების 60 პროცენტი არ მუშაობს. დანარჩენს ძალიან მცირე სამუშაო აქვს. მუშების უმეტესობა მიდის ქალაქიდან. პროფესიონალურ კავშირზე მუშების წასვლა დიდად მოქმედობს სამი თვის განმავლობაში კავშირს მხოლოდ ზარალი აქვს.

◆ საწოლი ვაგონების საერთაშორისო საზოგადოების მუშებ გაფიცვა 83 დღე გრძელდება. განზრახული მოლაპარაკეაა არ მოხდა. მუშათა დატუსაღება გავრცელდა. კრებაზე მუშებმა დაადგინეს: გაფიცვა მოთხოვნილების სრულ დაკმაყოფილებამდე განაგრძონ.

◆ 9 ივლისს „ნოვი აივაზის“ ქარხნის მუშებმა უზრდელი მოპყრობისათვის ქარხნიდან გაიტანეს საგორავით სტუდენტი ბალიკი.

◆ 11 ივლის მოხდა ბალტიის ქარხნის მუშების კრება. კრებამ დაადგინა: სანამ მოთხოვნილება არ იქნება დაკმაყოფილებული გაფიცვა განაგრძონ. ხოლო, რადგანაც ქარხნის კედლები დაფარულია ქალაქის უფროსის განკარგულებით, რომ გაფიცულები სამართალში მიეცემიანო, ძუშებმა გადასწყვიტეს: გაფიცვის გათავებამდე არ გაიაროონ ქარხნის მახლობლად. სულ გაფიცულია 700 კაცი.

◆ დაიწყეს მუშაობა ბაგდანოვის თამბაქოს ქარხნის საკრელ განყოფილების მუშებმა. მუშებს დაჰპირდნენ ქირის მომატებას. იმ დღესვე დაიწყეს მუშაობა დანარჩენმა 1.500 მუშამ, რომელნიც მასალის უქონლობის გამო ვერ მუშაობდნენ.

◆ დაიწყო მუშაობა ლანგენზიპენისა და ამხ. ქარხანამ, რომელშიაც გაფიცული იყო 1000 მუშა. გაფიცვამ 22 დღეს გასტანა; მუშათა მოთხოვნილება არ დაუკმაყოფილებიათ.

◆ შუკერტის ქარხანამ დაიწყო მუშაობა. მოთხოვნილების უმეტესი ნაწილი დაკმაყოფილებულია.

მოსკოვი.

◆ ფლეჩერის საქსოვი ქარხანის მუშები გაფიცნენ. გაფიცულებმა მოითხოვეს ეხლანდელ ქირიაზე 25 პროც. მომატება და ბინის ფულზე 2—4 მან. მომატება. თხოვნა ადმინისტრაციამ არ დაკმაყოფილა. გაფიცულთა რიცხვი 1000 კაცს უდრის.

◆ ბროკარის საპარფიუმერიო ქარხნის მუშები რიცხვით 1,000 კაცი გაიფიცნენ. გაფიცულებმა ქირის მომატება მოითხოვეს, მაგრამ მოთხოვნილება არ დაუკმაყოფილეს. ყველა მუშა დათხოვნილია.

◆ შოლცეს სადურგლოს პატრონმა მუშა, რომელმაც მას იარაღის უკან დაბრუნება მოსთხოვა, სახელოსნოდან უზრდელად გაადგო. ამის გამო სახელოსნოს მუშები გაიფიცნენ და მოთხოვნილება წარუდგინეს სახელოსნოს პატრონს.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

1600 წლის მილანის ედიქტის შემდეგ.

განათლების მინისტრმა ოლქის მზრუნველთ დაუგზავნა ცირკულიარები მილანის ედიქტის გამოცემის შემდეგ 1600 წელ. შესრულების გამო. ამ ედიქტით მართლ-მადიდებელ სარწმუნოების თავისუფლება და უპირატესობა მიეცა. ცირკულიარით მინისტრი მოითხოვს, რომ ეს ისტორიული ფაქტი აღნიშნოს საშუალო სასწავლებელში ამა წლის 14 სექტემბერს ზეიმით, რომელზედაც წაიკითხება შესაფერი რეფერატები.

პროფესორ დ. ზერნოვის მოწვევა.

ტეხნიკოსთა საზოგადოების ზოგიერთ წევრს განუზრახავს: რადგანაც ჟურნალ „ტეხნიკოსთა საზოგადოების უწყების“ მუდმივი რედაქტორი კოტურნიცკი გარდაიცვალა, მოიწვიონ რედაქტორად სამინისტროსაგან ამას წინად დათხოვნილი პროფესორი ტეხნიკოსი დ. ს. ზერნოვი.

ამურის მეზღვაურთა მდგომარეობის გაუმჯობესობა.

სახელმწიფო სათათბირომ სურვილი გამოსთქვა, ამურის მდინარის ფლოტი საზღვაო სამინისტროს გამგეობიდან უნდა განთავისუფლდესო. ეხლა საზღვაო სამინისტროს იმის მაგიერ, რომ ამურის ფლოტი თავის გამგეობიდან გაენთავისუფლებინა, განუზრახავს ფლოტის შემადგენლობის გაუმჯობესობა.

თავისუფალი სტიპენდიები.

პეტერბურგის უნივერსიტეტს დიდი ხანია შესწირა ვინმე შპაგიარმა ფული, რომლითაც სტიპენდია უნდა მიეცათ არტილერიის შტაბისა და ობერ მხედრების შვილებისათვის. აგრედვე დიდი ხანია, რაც ყირგიზებმა კრიჟანოვსკის ხსოვნის აღსანიშნავად შესწირეს იმავე უნივერსიტეტს ფული, რომლიდანაც სტიპენდია უნდა მიეცათ თერგის ოლქის ყირგიზთა შვილებისათვის, მაგრამ დრო მიდის, ფული იზრდება და უნივერსიტეტი კი სტიპენდიას არ ნიშნავს.

ᲪᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲕᲐ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

ამ ერთი თვის წინად ამერიკამ წყალში ჩაუშვა მთელ ქვეყნიერებაზე უდიდესი გემი „იმპერატორი“. ეს გემი უფრო გრძელია, ვიდრე 56 სართულიანი შენობა ნიუიორკში. სიგრძე მისი 130 საჟენია, სიგანე 14 საჟენი. პირველ რეისის დროს მან წაიყვანა: 250 მგზავრი პირველი კლასისა, 330—მეორესი, 1000—მესამესი და 1,600 საერთაშორისო. მოსამსახურეებითა და ეკიპაჟით გემზე იყო 5000 კაცი. მგზავრობის უდიდესი ფასია 10,000 მანეთი. ასეთ ფასიან მგზავრს ეძლევა ცალკე „ნომერი“ რვა ოთახისაგან შემდგარი, ცალკე პალუბით. „იმპერატორზე“ გარდა სასტუმრო ოთახების მთელი რიგისა არის საკონცერტო და საცეკვაო დარბაზი და ამავე გემზე არის ცოცხალ ყვავილების არანჟერეები. აქვე არის საბანაო აუზი, სიგრძით 17 საჟენი, სიგანით 9 საჟენი და სიღრმით 4 საჟენი. არის აგრედვე რომაული და ოსმალური ამბანოებიც და საგიმნასტო დარბაზი. საუცხოვო სასადილოში 700 კაცი ეტევა, სადაც საერთო სუფრა კი არა, მშვენიერი პატარა-პატარა მაგიდებია ყვავილებით მორთული. არის აგრედვე ცალკე ოთახები. რასაკვირველია ასეთ გემზე სამგზავროდ შესაფერი ჯიბეც უნდა ჰქონდეს კაცს.

„რუსკაია ვედომოსტს“ ნიუიორკელ კორესპონდენტს მოჰყავს ცნობები ამერიკელ მდიდრის **ასტორის** შესახებ ნიუ-იორკში. მისი უძრავი ქონება 126 მილიონ მანეთს აღემატებოდა. მასვე ჰქონდა 25 რკინის გზა ოთხ მილიონად ღირებული ობლიგაციები და 83 სხვადასხვა წარმოების აქციები 40 მილიონ მანეთისა. სიკვდილისას თვისი ქონება შან ასე გაანაწილა: ქვრივს—8 მილიონი, ქალს—სამი მილიონი, უფროს შვილს, ოცის წლინ ახალგაზდას, 69 მილიონი, უმცროსს კი, რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ დაიბადა - 3 მილიონი. მეგობრებსა და თავის მოსამსახურეებს 270 ათასი მანეთი დაუტოვა, საზოგადო საქმეებსა კი—მხოლოდ 60 ათასი.

ოპერა „დემონი“ დარიალის ხეობაში,

ს.-პეტერბურგის მარინის თეატრის რეჟისორმა **ნ. ბოგოლიუბოვმა** გადასწყვიტა დარიალის ხეობაში სოფ. გერგეთში დასდგას რუბინშტეინის ოპერა „დემონი“. ბოგოლიუბოვი იყო ამ კუთხეში ბევრი ადგილობრივ მცხოვრები ოსი დაითანხმა წარმოდგენებში მონაწილეობის მიღებაზე. ყველა მასიურ სცენაში უმთავრესად ადგილობრივი მკვიდრნი მიიღებენ მონაწილეობას, ძველებური ტანსაცმელით, ძველებური იარაღით, ნამდვილი ცხენებით და სხვა. ცეკვათამაში ადგილობრივ საკრავების აკომპანიმენტით გაიმართება.

ეს სოფელი იმიტომ აირჩიეს, რომ „დემონის“ ავტორს ლერმონტოვს აქ დაებადა აზრი დემონის დაწერისა; გარდა ამისა მისი ბუნების სილამაზე ბუნებრივი დეკორაციაა ოპერისათვის. ორკესტრს ულოტბარებს ი. ბ. ფალიაშვილი. აფიშებზე, იმ ადგილს, სადაც მხატვრის—დეკორაციის სახელია ხოლმე, სწერია: „დეკორაციები გაკეთებულია ქვეყნიერების შექმნის დროს“.

ᲑᲐᲚᲙᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲗᲐ ᲨᲔᲢᲐᲙᲔᲑᲐ

(დეპეშ. პეტ. საგენტოსაგან)

16 ივლისი.

ბუქარესტი. პეტერბურგის საგენტოს კორესპონდენტს განუცხადა პაშიჩმა, რომ მას სჯერა მოლაპარაკებით მიზნის მიღწევა, რასაც ხელს უწყობს მოლაპარაკებისათვის ადგილის არჩევა. ბულგარეთის განზრახვას ნდობით ვერ მოვეკიდებით, რადგანაც მან ბოროტი განზრახვით გამოიყენა ყველაზე ძვირფასი რამ, როდესაც გაგზავნა ჯარი საომრად ომის გამოუცხადებლად.

ბუქარესტი. პრესა აღტაცებით ეგებება მოკავშირეთა წარმომადგენლებს; განსაკუთრებული აღტაცება გამოიწვია პაშიჩისა და ვენიზელოსის მოსვლამ. ოფიციოზი ამბობს: წარმომადგენლები ნახავენ ჩვენს სატახტო ქალაქში გულღია შეხვედრას. მოვიდნენ, რომ მოსპონ უაზრო ომი, რომელიც უნდა ამოიშალოს ისტორიიდან. რუმინია ყოველ ღონისძიებას იხმარს, რომ გადაწყდეს ზავის დიადი საკითხი, ამისათვის მას არ უნდა არც ქონებრივი და არც ზნეობრივი ბატონობა.

ათინა. სამხედრო სამინისტრო იტყობინება ჯარის მთავარი სადგომის დეპეშის შინაარსს: 13 ივლისის დამარცხების შემდეგ ბულგარელებმა დაიწიეს ჯუმაისაკენ და განაგრძეს ჩრდილოეთისკენ სვლა სანამ მაშველი ჯარი არ შეუერთდა, რომელთა შორის იყო მეფე ფერდინანდეს I-ლი პოლკი. დახმარების შემდეგ ბულგარელებს სწადდათ დაებრუნებიათ დაკარგული ადგილები და ჯარი ბერძნების ჯარის მარჯვენა ფრთას დაუპირდაპირეს, განსაკუთრებით ჯუმაის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მაგრამ ბულგარელების იერიში მოგერებული იქნა. 14 დილას ბულგარელებმა უკვე ძალიან შორს დასწიეს უკან. ბერძნების ჯარის მარჯვენა ფრთის ბრძოლამ მთელ დღეს გასტანა და არცეთი მხარესათვის მოსაგებად არ გათავებულა. ბერძნები ძალიან დაზარალდნენ ამ ომში, მაგრამ ბულგარელებს უფრო მეტი ზარალი მიადგათ. 14 ივლისს ბრძოლა ბერძნების სასარგებლოდ გათავდა. ღამით ბულგარელებმა უკან დაიწიეს. ბერძნები 4 კილომეტრზე მიუახლოვდნენ ჯუმაის. ბულგარელებმა ჯუმაიდან წასვლისას ცეცხლი გააჩინეს. ბერძნების ჯარის მარცხენა ფრთა, რომლის წინაღმდეგაც ბულგარელებმა დიდი ჯარი გამოიყვანეს, ბრძოლას კიდევ განაგრძობს.

სტამბოლი. საღამოს ჩქარი მატარებლით გაემგზავრა ადრიანოპოლს მემკვიდრე პრინცი იუსუფ-იზეინი სულთანის უფროსი ვაჟის თანხლებით. სადგურზე მემკვიდრე გააცილეს ვეზირმა და მინისტრებმა.

სოფია. გამოქცეულ კუცოველახების სასარგებლოდ იტალიის საელჩომ შესწირა 300.000 ფრანკი. კუცოვლას—მასწავლებლებმა სთხოვეს მთავრობას, გაგზავნონ იგინი რუმინიაში. მთავრობამ თხოვნა დააკმაყოფილა.

ბუქარესტი. რუმინიის წარმომადგენლებად, მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად, კიდევ დაინიშნენ განათლების მინისტრი ლისენკო და მთავარი შტაბის უფროსის თანაშემწე ქრისტესკო. ბულგარეთის წარმომადგენელმა ფიჩევმა პეტერბურგის საგენტოს კორესპონდენტს განუცხადა: ჩვენ მოვედით ბეჯითი გადაწყვეტილებით, მივაღწიოთ თანხმობასა და შევსწყვიტოთ ომი. არ ვიცი, დაგვიჭერენ თუ არა მხარს სერბიელები და ბერძნები. ჩვენი პოლიტიკის მიმართულება შეიცვალა, იგი მიმართულია ეხლა მშვიდობიანობისაკენ. რუმინელების ბულგარეთში შესვლას გულგრილად შევხვდით. რუმინიის ჯარის ცუდად მოქცევის შესახებ ხმები სიმართლეს მოკლებულია. სხვა საქმეა ბერძნები, რომლებმაც მცხოვრებელთ ყელი დასჭრეს და სოფლები გაანადგურეს. სოფიაში სიწყნარეა, მოუთმენლად ელოდებიან ზავს. ჩვენი ჯარი სურსათს არ საჭიროებსო.

ბერლინი. ბერლინის გამოსვლა სერიოზულად აფიქრებს პოლიტიკურ წრეებს. ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია, რა ღონისძიებით შეიძლება ოსმალეთის ადრიანოპოლიდან გამოყვანა (ქ. ადრიანოპოლის დაჭერა?) არ შეიძლება, ხანგრძლივი ვერ იქნება: არც ერთი სახელმწიფო არ აღიარებს უკანონო მტაცებლობას, რომელიც ამრიგად, დიპლომატიურის თვალსაზრისით, განუხორციელებლად უნდა ჩაითვალოს. სამხედრო თვალსაზრისით, ოსმალეთი იმდენად უძლურია, რომ ვერ გაუძლებს თვით მცირე ძალასაც კი. პორტას იურიდიული შეხედულებაც უსაფუძვლოა, რადგანაც ბალკანეთის სახელმწიფოთ არ დაურღვევიათ ლონდონის ხელშეკრულება.

რომი. „სტეფანის საგენტოს“ ატყობინებენ ბელგრადიდან: იმ მოქმედებას, რომელიც 7 ივლისს იტალიის ელჩმა ჩაიდინა ბელგრადში, იტალიის მოწერილობის ცეტინიესა და ათინაში არავითარ შემთხვევაში ძალდატანებითი ხასიათი არ ჰქონია.

პაშიჩმა განუცხადა იტალიის ელჩს, რომ ბულგარეთს ვერ ენდობა და ამიტომ არ შეუძლიან ჩამოაგდოს წინასწარი ზავი სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყებამდეო. ისეთივე პასუხი გასცა ათინის კაბინეტმაც.

სოფია. ოსმალელი ჟურნალისტი ახმად-ნური, რომელმაც ახლო ხანში თავისი სამშობლო ქალაქი დრამა ინახულა, გვიამბობს, თუ, როგორ იხოცებოდნენ შიმშილისაგან და გაჭირვებისაგან ათასი მაჰმადიანი. ყველა სოფელი სერესისა, დრამისა და დეგაჩის მახლობლად დარბეულია ბერძნებისაგან. კავალის მახლობლად რამდენიმე ასი მაჰმადიანი ყვლგამოჭრილია ბერძნების ჯარისაგან. გაქცეულები ბულგარეთს სთხოვენ მფარველობას.

სტამბოლი. პორტაში ირწმუნებიან, ოსმალეთის ჯარი ფილიპოპოლიდან რამოდენიმე კილომეტრის მანძილზე არისო. ამითი პორტას უნდა აიძულოს მოკავშირენი მიიწვიოს იგი ბუქარესტში მოლაპარაკებაზე. რადგანაც სახელმწიფოებმა ერთხმად მოსთხოვეს ოსმალეთს, დასტოვოს ადრიანოპოლი, მაჰმადიანთა შორის დიდი უკმაყოფილება დაიბადა მთავრობისადმი. სჩანს, საბერძნეთისა და ოსმალეთის შორის თანხმობა არ მრმხდარა.

სოფია. სტამბოლის ცნობა, ვითომც ბულგარელებმა ადრიანოპოლიდან წასვლისას ამოხოცეს ქალაქში 200 ბერძენი, მართალი არ არის. ნამდვილად ოსმალებმა მოახდინეს დიმოტიკოში, ადრიანოპოლში და მუსტაფა ფაშაში საერთო რბევა და გაძარცეს ბერძნები, ბულგარელები და სომხები. ბულგარეთის საგენტო უარჰყოფს იმ ცნობას, ვითომც ბულგარელებმა ფრაკიაში ამოხოცეს ოსმალო ტყვეები. ამ შემთხვევაში საგენტო ემყარება ტყვე მხედრის სელიმ ბეის სიტყვებს, რომელმაც განუცხადა გაზ. „მირს“, რომ ბერძნები და სერბიელები მარტო სიტყვით აცხადებენ და ვერ ამტკიცებენ საბუთებით: მათ არ შეუძლიანთ აღნიშნონ ვერც ერთი შემთხვევა ისეთი, როდესაც ოსმალელი ტყვები ცუდად მოქცევას განიცდიდნენ.

სტამბოლი. საბერძნეთის სამლვდელოებისაგან ფრაკიდან. მიღებულია ცნობები, რომ ოსმალებმა დაარბიეს ქრისტიანები. მოლგარის მახლობლად გადასწვეს 22 სოფელი. მცხოვრებლებს აგროვებდნენ საყდრებში და მერე სწვავდნენ საყდრის გარშემო იდგნენ ოსმალელი ჯარის კაცნი და თოფით ჭკლავდნენ, ვინც გაქცევას გაბედავდა. სოფელ კალიკიაში 700 კაცისაგან გადარჩა მოხუცი და ერთი გოგო. რბევა ხდება „ერთობისა და პროგრესის მიტეტის“ დადგენილებით, რომელსაც უნდა, ფრაკიაში მარტო მაჰმადიანი მცხოვრებლები დარჩნენ.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

16 ივლისი.

უცხოეთი

ხანკოუ. (დაგვიანებულია ცნობით). ხუნანის დუდუმ ოფიციალად თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა და სთხოვს უცხოელებს სესხის უარი უთხრან მთავრობას. იოჩოუში ესროლეს თოფი სტანდარტო ოილკომპანის ნავთის ქვაბებს. გაჭგზავნეს ამერიკის პატარა სამხედრო გემი.

ლონდონი. ლორდთა პალატა. ლორდმა კერზონმა წარმოსთქვა სიტყვა სპარსეთის საქმეების შესახებ, რომელიც საათზე მეტს გაგრძელდა. კერსონის სიტყვით, ჩრდილო სპარსეთში საქმე შედარებით უშიშრად არის დაყენებული, რადგანაც იქ რუსეთის დიდი ჯარი დგას. შესაძლოა რუსეთის ჯარის სპარსეთში ყოფნა თავმდებობს მშვიდობიანობას და შესაძლოა სპარსეთის მთავრობისათვის ეს სასიამოვნოც იყოს, მაგრამ რუსის ჯარის რაოდენობა ეთანხმება თუ არა ჩრდილო სპარსეთში მშვიდობიანობის დამყარებისათვის მოთხოვნილებას და ეთანხმება თუ არა აგრედვე რუსის ჯარის სპარსეთში ყოფნა რუსეთისა და ინგლისის შორის მომხდარ თანხმობის შესახებ სპარასეთის დამოუკიდლებობას. ჩვენ არ შეგვიძლიან უშიშრად ვუცქერით იმას, თუ როგორ ჰხდება დაპყრობა იმ ქვეყნისა, რომლის დამოუკიდებლობას ჩვენ ყოველთვის ვიცავდით. ვერზონს არ მოსწონს მთავრობის საქციელი ე. ი. ის, რომ მთავრობამ სამხრეთ სპარსეთიდან გამოიწვია უკან ინგლის-ინდოეთის ჯარი და კრიტიკას უწევს მთავრობის ეხლანდელ პოლიტიკას, რომელსაც პალიატივების პოლიტიკას უწოდებს. ინგლისი უნდა ცდილობდეს სანეიტრალო სფეროში რკინის გზების გაყვანას, ინგლისი კი არ უნდა მისდევდეს რუსეთს, არამედ მოქმედობდეს მასთან ერთად. ბაღდათის გზის შესახებ ხელშეკრულობა კერზონს სამართლიანად მიაჩნია.

ჟენევა. კავშირის საბჭოს დადგენილებით სერბია და ბულგარეთი საშიშრად არის ხაცნობი ხოლერის მხრით.

შანჰაი. ჩრდილოეთის ჯარის გემები ვუზუნას გარედ იმყოფებიან და ვუზუნის ნაპირის ზარბაზნები მათ ვერ სწვდებიან. უცხოელნი გავიდნენ ვუზუნიდან შეტაკების მოლოდინით შეშინებულნი.

ლონდონი. ლორდთა პალატა. ვერზონის საპასუხოდ ლორდ მორლეიმ სთქვა: ინგლისის პოლიტიკა სპარსეთში გამოიხატება იმით, რომ დაცული იქნას აზრი რუსეთ-ინგლისის შეთანხმებისა, სპარსეთის დამოუკიდებლობის დაცვისა. ჩვენ არ ვივიწყებთ სპარსეთის კეთილდღეობას, განზრახული გვაქვს დავიცვათ სპარსეთში კონსტიტუციის ყოვილგვარი ხასიათი, მზადა ვართ დავეხმაროთ სპარსეთს სამხრეთის გზების აღდგენაში. ინგლისი და რუსეთი სრული თანხმობით მოქმედებენ. ნეიტრალურ სფეროს ადგომარეობაში არავითარი ცვლილეა არ მომხდარა. ტიბეთის შესახებ ინგლისის სურვილით საერთაშორისო კრება მოხდება. ჩინეთი და ტიბეთი მთავარ მოქმედ პირად იქნებიან ამ კრებაზე; რუსეთმა იცის და მხარს უჭერს ინგლისის ამ მოქმედებას.

ლონდონი. ლორდთა პალატა. სრულიად სპარსეთის გზის შესახებ კამათის დროს ლორდ კრიუმ განაცხადა: გადუწყვეტელია საკითხი: მართლა სარგებლიანი იქნება თუ არა რკინის გზა რუსეთიდან ინდოეთში ან სპარსეთის ზღვისკუთრემდეო. ინგლისი, წინანდებურად, იმ აზრისა არის, რომ გზის ასეთმა მიმართულებამ ინგლისისაგან დამტკიცება უნდა მიიღოს. ჯერ-ჯერობით არსებობს წინადადება, რომ გზა იქნეს გაყვანილი თეირანამდე, რუსეთის გავლენის ფარგალში. კრიუ გადავიდა ტიბეთსა და მონგოლეთის შორის, ვითომც, მომხდარ თანხმობაზე და სთქვა, რომ მან ნამდვილად იცის, რომ მონგოლეთის აგენტი დორჯიევი, რომელმაც, ვითომც, თანხმობას ხელი მოაწერა და შემდეგ პეტერბურგს წავიდა, არ იყო აღჭურვილი დალაილამის ნებართვით.

სააგენტოს შენიშვნა: პეტერბურგის სააგენტომ გაიგო, რომ, ტიბეთ-მონგოლეთის ხელშეკრულება, რომელსაც ტიბეთის მხრივ დორჯიევმა ხელი მოაწერა, შეკრული იყო რუსეთის უმონაწილეოდ ისე რომ, რუსეთმა არც კი იცოდა ამის შესახებ.

ბელრუთი. ოსმალეთის მთავრობამ წინადადება მისცა რაფიკ-ბეის, დეცენტრალისტების ხელმძღვანელს, მიიღოს მინისტრის თანამდებობა.

ჰაგა. გარდაიცვალა მინისტრი ასერი, სამშვიდობო კონფერენციის წევრი და დამფუძნებელი საერთაშორისო კერძო უფლების დოქტორინისა.

შანჰაი. 15 ივლისს მეამბოხეებმა კიდევ განიმეორეს იარაღის საწყობებზე თავდასხმა, მაგრამ ჩრდილოს ჯარმა მოიგერია მეამბოხენი. მეორე დღეს რამდენჯერმე განმეორდა იერიში, მაგრამ მაინც ვერას გახდნენ ადმირალი ცზენი აპირებს ვუზუნაზე საზღვაო იერიშის მიტანას.

პრაგა. ჩეხიის სეიმის დეპუტატთა კავშირმა გამოიტანა დადგენილება, რომლითაც ჩეხიაში ავტონომიის წესების მოსპობა აღიარებულია მთავრობის მხრივ ჩეხების საწინააღმდეგო მოქმედებად. საპროტესტო ეროვნულ მიტინგის შემდეგ გაიმართა ქუჩის დიდი მანიფესტაცია.

რუსეთი

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭომ 16 ივლისის სხდომაზე მოიწონა შემდეგი დადგენილებანი: იტალიასთან და ჩინეთის კაშგარის პროვინციასთან საურთიერთო დეპეშების სიტყვის ფასების დაკლება; მონგოლეთში პირდაპირ გაგზავნილ დეპეშების ფასისა და სპარსეთის საფოსტო სატელეგრაფო მთავრობისათვის ფულის დახმარების შესახებ ასტარათეირანის მეორე მავთულის გასაყვანად. საექიმო ინსპექტორის ცნობით წელს რუსეთში ხოლერით არვინ გამხდარა ავად.

პოლტავა. კონსტანტინეგრადის მაზრაში სეტყვამ მცხოვრებლებს 966,000 მან. ზარალი მიაყენა.

კიშინევი. მდინარე პრუტმა წყალდიდობის გამო გადაიარა 1.986 დესიატინა ნათესი. ზარალი 200,000 მანეთისა.

სმოლენსკი. დაიწვა ეფრემენკოვების ლუდის ქარხანა. ზარალი 100,00 მანეთისა.

პეტერბურგი. დაიჭირეს გაზ. „ტრუდოვოი გოლოსის“ მე-21 ნომერი, „რაბოჩაია პროვადას“ მე-3 ნომერი, „ჟივ. ჟიზნის“ მე-5 ნომერი.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო მოიწვიონ 20 და 21 ივლისს სავარჯიშო საზოგადოებათა წარმომადგენლების კრება.

ნება დაერთო 15 ივლისიდან 15 აგვისტომდე მოხდეს ნიჟნი-ნოვგოროდში ჰეშმარიტ რუსთა კავშირისა და სხვა მონარქიულ ორგანიზეციების მომხმარებელ საზოგადოებათა წარმომადგენლების კრება.

შინაგან საქმეთა მინისტრის დადგენილების ძალით ნებადართულია, რომ დეპეშები გაიგზავნოს რამდენიმე პირის სახელზე და რამოდენიმე საპასუხო ფასის გადახდით.

ჩენსტოხოვი. 15 ივლის დამე გამოაცხადეს სასამართლოს განაჩენი რევოლუციონურ-შურისმძიებელ ჯგუფის შესახებ. 5 დაღრჩობა გადაუწყვიტეს, მაგრამ მანიფესტის ძალით 20 წლის კატორღაზე შეუცვალეს. ერთ ქალს 4 ნახევ. წელის კატორღა, ერთს 2 წელ. და 8 თვის ციხე, 8 გამართლეს.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! თქვენ პატივცემულ გაზეთში № 941 (12 ივლისს 1913 წ.) მოთავსებულია წერილი „ხოვლელი გლეხისა“, რომელიც სრულიად სიმარ ლეს მოკლებულია; ამიტომ გთხოვთ ამ წერილის ქვემორე ხელის მომწერელნი, მოათავსოთ ჩვენი პასუხი თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში: ალექსი კოშაზე ჩვენი სოფლის მიერ სამჯერ არის ერთხმად ამორჩეული მამასახლისად; მას საზოგადოებისათვის კარგის მეტი, ცუდი არა გაუკეთებია-რა; მის დანახვაზე ჩვენში ერუანტელი არავის არ მოსდის, გარდა ქურდბაცაცებისა და მათი დამქაშებისა, რომელთაც კოშაძე დაუზოგავად სდევნის ჩვენ საბედნიეროდ. რაც შეეხება იმას, რომ ჩვენ, გლეხებს, ძალას გვატანდეს რომელიმე თავადი: მამასახლისად ისევ კოშაძე უნდა ამოირჩიოთო, ესეც სრული სიცრუეა; ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ „ხოვლელი გლეხი“ იმ თავადის გავლენით სწერს იმ წერილს, რომელიც დაუძინებელი მტერია კოშაძისა და ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ კოშაძე მამახლისობიდან გადააყენოს. ჩვენ, სოფელ ხოვლეს გლეხნი ვუცხადებთ „ხოვლელ გლეხს“ ზიზღს ცილის წამებისთვის.

გიგო მიქელას ძე მიქელაძე, ზაქარ ნიკოლოზის ძე მიქუტოშვილი, სანდრო მიხეილის ძე მამახახლისოვი, სანდრო კოკოზაშვილი, ილიკო ივანეს ძე ბახტაძე, გიორგი ბიჭიკაშვილი პეტრეს ძე, ვანო ედიშერაშვილი, ისაკ მერებაშვილი სოლომონის ძე, მიხელ ზურაბის ძე ედიშერაშვილი, სანდრო ედიშერაშვილი, ზაქარა დიმიტრის ძე მერებაშვილი, შაქრო ხუციშვილი, დიმიტრი ზაქარას ძე ზაქარაშვილი, ანდრო ბაისონაშვილი, ტატე ხიზანაშვილი, იასონ ჯალალიშვილი, შაქრო ედიშერაშვილი, რაჟდენა იოსების ძე იმერლიშვილი, ივაკა ხუციშვილი სვიმონის ძე, დათა კოშაძე, დავით ბაისონაშვილი, ბიძო ბაისონაშვილი, ტატო მიქუტიშვილი, ვასო მიქუტიშვილი, გიგო ხუციშვილი, შიო მერებაშვილი, შაქრო კოშაძე, გიორგი მერებაშვილი, მიხა მერებაშვილი, ია ყურაშვილი, სანდრო ბახტაძე, იოსებ გალუსტაშვილი, პავლე ბითაძე, ივანე ხათაშვილი.

შემოწირულება

ბ-ნო რედაქტორო! გიგზავნით დაბა აბასთუმნის ქართველთა შორის შეგროვილ 52 მ. 35 კ. მგოსან ევდოშვილის გადასაცემად. შემომწირველთა გვარები:

ხუთ-ხუთი მანეთი: ეკ. მუხრანსკაიამ, ირ. ზედგინიძემ; სამ-სამი მანეთი: ვეკ. ხელთუფლიშვილმა, ოლ. აბდუშელმა; ორი-ორი მანეთი: ქ-ნ ფანიაშვილმა, ქ-ნ გოკიელოვისამ; თითო მანეთი: ბეს. ხმალაძემ, ალ. ძოწაძემ, ალ. ხიმშიაშვილმა, მარ. ალადინსკისამ, ალ. ყიფიანმა, სვ. ჭეიშვილმა, გრ. ლორთქიფანიძემ, ქ-ნ ტორაძემ, მარ. გიგინეიშვილისამ, თავ. ანჩაბიძემ, ფილიპოვმა, ი. კაჯახიძემ, მ. შირიევმა, ელ. ჯორჯაძემ, №№, ქ-ნ ქურდიანისამ, სტ. აკიმოვისამ, ს. შანშიევისამ, ქ-ნ სოლოლაშვილისამ, №№, სოლ. ჯაფარიძემ, ქ-ნ თოფურიძემ; ათ-ათი შაური: გრ. მეფისაშვილმა, მიხ. ზედგინიძემ, ქ-ნ ქუთათელაძემ, ბ-ნ არტიპამაკლიძემ, ბ-ნ გამყრელიძემ, ბ-ნ ტატიშვილმა, ზ. ჰანჯაკოვმა, მაქ. ქორაიამ, ქ-ნ მამალაძემ, ბ. ქიქოძემ, ბ. მაქსიმემ, გ. ბერძენიშვილმა, ალ. ჯაიანმა, ქ-ნ ხოფერიამ; ორ-ორი აბაზი: ქ-ნ გეგეკორისამ, ნეს. ხარებოვისამ, ლად. სიხარულიძემ, სერ. გძელიშვილმა; სამი აბაზი ბ. ჩიქოვანმა; ექვს-ექვსი შაური: ბ-ნ ალექსანდრეპოლშიამ, ბ-ნ დანელიამ; თითო აბაზი: ბ. ყულიჯანაშვილმა, ბ. ახალაიამ; ქ-ნმა ტასომ 15 კაპ.

P. S. მოგეხსენებათ, რომ დაბა აბასთუმანი, როგორც სამკურნალო ალაგი დიდი ხანია ცნობილია, ნამეტნავად ისეთ ავადმყოფთათვის, როგორც ჩვენი მგოსანია. ეშვი არ არის ქართველი საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს სენით შეპყრობილ მგოსანს და გაგზავნის სადმე სამკურნალოდ. უკანასკნელ შემთხვევაში უმჯობესი იქნებოდა გამოეგზავნათ აბასთუმანში, რადგანაც ადგილობრივი საზოგადოება აღუთქვამს მგოსანს, ყოველგვარ დახმარებას, სახელდობრ ოთახის იაფად შოვნას, წარმოდგენების გამართვას მის სასარგებლოდ, სანოვაგით და წამლებით ხელის შეწყობას და საერთოდ გულმხურვალე მონაწილეობას მიიღებს მის მოვლაში; თუ მგოსანი წამოსვლას დაეპირებს აბასთუმანში, გთხოვთ წინადვე შეგვატყობინოთ.

მგოსნის პატივისმცემელნი სტუდენტები:
ლადო რცხილაძე, ესტატე ინასარიძე.

დიდ-ჯიხაიშიდან, ჩხეიძის მიერ შეკრებილი. სია შემომწირველთა **ი. ევდოშვილის** სასარგებლოდ.

ქ-ნ ბებია ალექსანდრა პეტრეს ასული ლოსაბერიძისა 1 მ., ბ-ნ ექ. ევსევი გიორგის ძე ლოსაბერიძე 2 მ. ბ. აკაკი ბაქრაძე 1 მ., ბ. ბლაღ. სამსონ ბეჟანის ძე დევიძე 1 მ. ბ. მღვ. გერასიმე ალექსის ძე ნუცუბიძე 1 მ. ბ. მღვ. ტიტე მოსეს ძე ლეჟავა 1 მ. ვერა ივანეს ასული ჩხეიძე 50 კ. ქ. აკვირინა ნესტორის ასული ნუცუბიძე 50 კ., მასწ. ცუცა დავითის ასული დევიძე 50 კ. მასწ. ქსენია ისაკოს ასული ლეჟავა 50 კ. ლიუბა თევზაძე 50 კ. ბ. ლევან ჭილაძე 50 კ. იასონ ჯორბენაძე 50 კ. მასწ. პავლე ალექსანდრეს ძე ლორთქიფანიძე 50 კ. მასწ. ნიკო მიხეილის ძე სოსელია 50 კ. მასწ. ნოე კუხალიაშვილი ბ. ალექსანდრე ბესარიონის ძე ლეჟავა 50 კ. სტუდენტი დავით ილარიონის ძე კახაძე 50 კაპ. სკ. ზედამხედველი სერგო ივანეს ძე ღოღობერიძე 50 კ. მასწავ. აკაკი კოხრეიძე 50 კ. მწერალი ნოე გეგენავა 50 კ. მასწ. ნინო ისაკოს ასული ჩხეიძისა 25 კ. მასწ. ვარლამ ეგნატეს ძე ლეჟავა 20 კ. მასწ. ვარლამ ვაშაკიძე 20 კ. სულ 15 მ. 40 კ.

მ. კავსაძის მიერ **პოეტ ირეოდიონ ევდოშვილის** სასარგებლოდ შეკრებილია:

ქართველიშვილი ალექსანდრე 1 მან. კლდიაშვილი სიმონ 1 მ. მაკავარიანი შაქრო 1 მ. კავსაძე მიხეილ 50 კ. მათიკაშვილი არჩილ 50 კაპ. ლასხიშვილისა მარიამ 50 კ. ანტონოვსკისა ელენე 30 კ. თულაშვილი დიმიტრი 30 კ. ყიფიანი ნ. 10 კაპ. სულ 6 მ. 20 კ.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჯუმბაძე.

მატარებელთა მიმოსვლა
(ზაფხულობით)
18 აპრილიდან
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლოკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთი გადასზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3 **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **ჩქარი** პლაკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასზ. სამგზ. მატ. სისწრაფით დამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **სახ.** დილ. 8 ს 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

მცხეთაზე: № 65, **სააგარაკო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67,ბ **სააგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43წ.

ეს მატარელები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

ჯულფისკენ: **საფ.** № 4,3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

ყარსისკენ: **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24,23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 11, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, საშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **ჩქარი** — პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასახიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევ.** ღამ. 2 ს. 12 წ.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ბგანარეგი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბეიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ბვეტისიანეცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანეცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბეიო და ქალების ავადმყ.
კ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ბვეტისიანეცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დიფექტორი მედიცინისდოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
100¼

ექიმი ქ. სოხუმში
ივანე სვიმონის ძე
ფ რ ა ნ გ უ ლ ი ა ნ ც ი
ღებულობს შინაგან და დედათა სნეულების ავადმყოფებს დილის 9 საათ. ვიდრე 12 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. კოლიუბაკინის ტუნა (ადმირალტეისკაია), გარდენინას სახლი, ქ. ისაჯანოვის პანსიონში 1403.

ჩუდურეთის შესახვ. № 5, 1-ლ კომფრ. სასწავლებლის ზემოდ, ვკატერინ. ქუჩ. ბოლოს, № 7.

გამოცდილი მასწავლებლები

ამზადებენ: **სიმწიფის მოწმობაზე**, ვაჟთა და ქალთა გიმნაზიის 2, 3, 4, 5, 6 კლას. **ყველა სასწავლებლის** ყველა კლასისათვის; **აფთიაქის მოწმაფისა**; ხაკლასო ხარისხისა და პირველდაწყ. სკოლის მასწავლებლის მოწმობისათვის. მისამართი: მათემეთიკის მასწავლებელი ივ. მარკ. მიჩაიძე, ნახვა შეიძლება დილით 12—1 ს. საღამოთი 5—7 საათ. 1400

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარეა საჭმარო შემთხვევებისა, როცა დამარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1—2 ბ. **ფომინა-ოსიბოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქანთარია** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 547).
5—6ი. **მ. ზაბლუდოვსკა** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709.
9—11 **გ. თ. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).
10—12 **ვ. ბ. მირაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათა არღვევენ-ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჭყიდია, და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, ახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ყლისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გ ა მ ც ე მ ი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

გამართულია ხელის მოწერა 1913 წლის
„ხ მ ა კ ა ხ ე თ ი ს ა“-ზე

გაზეთის ფასი ფოსტით გაგზავნით: 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 1 მ. 80 კაპ., 1 თვით 40 კ. **ხელნაწერი და სოფლებში:** 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 1 მ. 30 კ., 1 თვით 25 კ., ცალკე ნომერი ყველგან 3 კ. **გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. კანტორა** დროებით მოთავსებულია ქ. შ. წ.-კ. გამ. სიღნაღის გაჯ. **წიგნის მაღაზიაში.** გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადგილებში: სიღნაღში გაზ. „ხმა კახეთისს“ კანტორაში, სოფ. ველისციხეში ლ. ბერიაშვილის აფთიაქში თელავში—ვანო პაატაშვილთან, გურჯაანში—ეკ. დ. ჯავახიშვილთან, კარდენახში—კოლა დარაშვილთან, ვაქირში—მღ. ნ. ბარნაბიშვილთან, ბოდბიეს—დ. ჩახნაშვილთან, ქვემო-მაჩხაანში—ალექს. ჯანყარაშვილთან, ბაკურციხეში—ორჯონიკიძეს მაღაზიაში, საქობოში—სიკო ია შვილთან, ზაქათალაში—ბლაღ. ბ. ფურცელაძესთან, ჯუგაანში—მღ. ი. შანშიაშვილთან. **გაზეთის დასაკვეთი ფასი** და სხვა ინგარიშები უსათოდ ამ მისამართით უნდა **გამოგზავნოს** Сигнахъ К. І. Тквавдзе. 1370

მუდამ დღე მოგვდის
თეგზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 7[illegible].

ახალ-ახალი
მტკვრისა თართი, ზოლოხი, ლოქო, და სუდაკი.
ახალი მსხვილ-მარცვლოვანი
ხიზილალა ქიტკა
აგრედვე ყოველ დროს იყიდება **მალაზიაში მარტის დღეში, იანი, ჯიპა, ზურგიელები,** სხვა ყოველ-ნაირი **თ ე ვ ზ ე უ ლ ო ბ ა** და
კონსერვები.

მიტროფანე ლაღიძის და ამხ.
სამკურნალო
ფრიად სასიამოვნო ლობისათვის მარგესი და სურნელების

სასმელი და ჯანმრთელობელი. საამური გემოსა
ხ ი ლ ე უ ლ ი,
და მინერალური
წ ყ ა ლ ი
მზადდება საუკეთესო ხილეულის წვნისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად განწმენდილ მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყალით
გამოცდილ სპეციალისტის ხელმძღვანელობით.
რადგანაც ჩვენი ქარხნის წყალის ნაცვლად ხშირად **დაბალ ღირსების წყალს აწვდიან** პატივცემულ საზოგადოებას და აგრედვე გავრცელებულია ჩვენი ეტიკეტის მიმსგავსებანი, უმორჩილესად ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას, **ყურადღება მიაქციოს ბოთლებზე ჩვენს ეტიკეტს ქარხნის ნიშნით და აგრედვე თვალსაცობს ზედ-წარწერით:**
„M. ლ ა გ ი ძ ე“.
ქარხნები: **ტფილისში, გოლოვ. პროსპ., № 6, ტელეფონი № 411; ქუთაისში, პუშკინის ქუჩა, № 5, ტელეფონი № 151.**
1214